№ 2754
პარასკევი,
25 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2754
პარასკევი,
25 თებერვალი

** გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატება—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. წლის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მნაცაკან არტემას ძე, არტემ მინასას ძე და ლიუდმილა ივანეს ასული კოხტიევები, **წყალობ ბალდანის ძე არუთინოვი მეუღლით მარიამით, ნატალია ბალდანას ასული აგზამანოვისა, ევგენია ბალდანას ასული ხეჩუმოვისა და სოფიო არტემას ასული ტერ-სტეფანოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—დაუვიწყარ მეუღლისა, მეორე—ძვირფასს დედის, მესამე—დედამთილის, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე—დისა და მეშვიდე—ძვირფას დეიდის

ნინო ბალდანას ასულის კოხტიევისას.

განსვენებული გარდაიცვალა 21 თებერვალს, დილის 6½ საათზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6½ საათზე. გვამის გასვენება ბინიდან ფეთხაინის წმ. ღვთისმშობლის ეკკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს წირვის შემდეგ ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—67—1)

დიდად გაუბედურებული ქვრივი პელაგია პეტრეს ასული ხოშტარია შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას საყვარელ ქმრის

ათანასე ივანეს ძის ხოშტარიასას

დასაფლავება ბათუმში. გამოსვენება სადგომიდან (სვიატოპოლკ-მირსკის და ერისთავის ქუჩების კუთხე, სახლი სიმეონიდისა) მართლმადიდებელთა ეკკლესიაში კვირას, 27 თებერვალს, დილის 9 საათზე. (1—1).

მოიპარეს

ნაღდ ფულად . . . . 1266 მ. 17.

სარგებლიანი ქაღალდები:

4 ბილ. I სესხისა 14864/49, 09819/23, 11496/25, 15265/44.

4 „ II სესხისა 17666/8. 14126/27, 01981/31, 10014/7.

13 „ III სესხისა 08591/17, 01590/46, 01658/7, 08588/17, 08589/17, 08590/17, 08707/17, 08703/17, 02207/36, 00372/1, 08592/17, 08706/17, 11340/48.

აქციები:

მირზოევისა—20 ცალი №№ 5511-დან 5530-მდე, თითო 500 მან. სულ 10,000 მ.

ტყვიბულისა—10 ცალი №№ 740—747 თითო 500 მან. სულ 5,000 მან.

საკომერციო ბანკისა—10 აქცია II გამოცემისა №№ 8647-დან 8656-მდე თითო 500 მ. 10,000 მ.

საკომერციო ბანკისა—10 აქცია III გამოცემისა №№ 3132-დან 3141-მდე თითო 500 მ. 10,000 მ.

ქალანთაროვისა—4 აქცია №№ 96, 97, 98, 99 თითო 5000, სულ 20000 მ.

ნაბატოვისა—4 „ . . . . „ 5000—20,000 მ.

არამაზდისა—48 „ №№ 5551-დან 5578-მდე, 8306, 8325, თითო 250 მ. სულ 12,000.

არალო-კასპიისა—52 აქცია, თითო 250 მ., სულ 13,000 მ.

ვოროტანისა—28 აქცია №№ 1296, 1297, 1515, 1516, 1349, 1350, 1710, 485, 486, 487, 488, 489, 412, 1131-დან 1135-მდე, 1115, 1111-დან 1114-მდე, 1347, 1348, 1661, 1667, 1688, 1609, თითო 250 მან., სულ 7,000 მან.

არამაზდ და ვოროტან ტერ-მარქაროვებისა—60 აქცია. ნომრები არ ვიცით, თითო 250 მან., სულ 15,000 მან.

ყველა ეს მოიპარეს კარაპეტ და ბეგლარ ქვართანოვების მაღაზიიდან, რომელიც იმყოფება სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში. ვინც ამაებს წარმოადგენს, იმას კარგი ჯილდო მიეცემა. (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის 8—9 საათ.

გ. ვ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ნ. ტ. ჰულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა: 12—1 ს.

1. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობიარო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

[illegible] ბაკეთება შეუძლიანთ გარეშე [illegible]ც.

[illegible] და დარიგებისა 50 კაპ., [illegible] აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში [illegible] მორიგებით. კრავატები დღეში [illegible] ნ. საზოგადო და ნომერი—5 მან.

[illegible] კია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] ე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] იდან-კი 34 B.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. გოქიელოვი
ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, [illegible] ნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღა[illegible] საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
[illegible] შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავად[illegible] ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. [illegible] ლისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. [illegible] კიულ ბანკის სახლი. (60—408—20)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
[illegible] ებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 [illegible] ილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვე[illegible] ით. (30—17—46)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
ღიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—25)

ტფილისის საკომერციო ბანკის ჯავშნიან საკუჭნაოში იძლევა ქირით ცალკე უშიშარი ყუთები. წესები ყუთებით სარგებლობისა მსურველთ შეუძლიანთ უსასყიდლოდ მიიღონ ბანკში. (2—6—1)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 თებერვალი

სინმინტინი, 22 თებერვალი. სადგურ მუკდენის ახლოს ბრძოლა არ შეწყვეტილა. 19 თებერვალს იაპონელები მიუახლოვდნენ ამ ადგილს სამის მილის მანძილზე, მაგრამ რუსებმა მოიშველიეს ჯარი და უკუაგდეს იაპონელები შვიდი მილის მანძილზე. იაპონელებმა დასდგეს სამი დიდი კალიბრის ზარბაზანი პენზიაპუში, ჩრდილო-დასავლეთით მუკდენიდან და ზარბაზნებს უშენენ ქალაქს. იაპონელებმა დაიჭირეს სოფლები ხუქიატუნი და დავანშანი, რომლებიც მუკდენის გზიდან სამხრეთით არიან; სამი დავანშანელი ჩინელი ჩამოახრჩეს, როგორც ჯაშუშები.—გუშინ იაპონელებმა ხელთ იგდეს ქვანახშირის პატარა მაღარო. რუსების ბანკი მუკდენში დაიხურა და კვირას ტელინში გადაიტანეს.—პეკინიდან სინმინტინში მოვიდა 21 თებერვალს რკინის გზის დირექტორი, რათა პროტესტი გამოუცხადოს იაპონელებს რკინის გზის საქმეებში ჩარევისათვის, მაგრამ მისმა მოსვლამ, როგორც ეტყობა, ფუჭად ჩაიარა. ამ ჟამად იაპონელები ჩხრეკავენ ყოველგვარ ტვირთს, რაც სინმინტინში-კი მოდის, და უნდათ კონტრაბანდი იპოვნონ. იგინი ართმევენ საქონელს ნეიტრალურ ტერიტორიაზე სინმინტინის ახლოს.

ნიუ-ჩუანი. გუშინ იაპონელები ზარბაზნებს უშენდნენ სადგურ მუკდენს ხუთის მილის მანძილიდან. დღეს რუსებმა თავგანწირვით გასცეს მათ პასუხი. აქ მოვიდნენ ტელინიდან გამოქცეული ქალები; იგინიც ისე ამბობენ, ყველა არა სამხედრო პირი სტოვებს ტელინსაო.

შანხაი. როგორც იაპონელებს უანგარიშნიათ, რუსების ჯარი 412 ბატალიონი, 3000 კავალერია, 35,000 არტილერია და 1500 ზარბაზნისაგან შესდგება ბევრი ნაღმი დაცურავს პეჩილიის ყურეში შანდუნის ნაპირის ახლოს. ჰფიქრობენ, რომ ეს ის ნაღმებია, რომლებიც იაპონელებმა ამოკრიბეს (?) წყლიდანო. ჩინეთის მთავრობამ გაგზავნა მათ დასაჭერად სამხედრო გემი „ფეინი“.

პეტერბურგი. გენ.-ადიუტანტ კუროპატკინის დეპეშა მისი იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე; 1, 21 თებერვლის თარიღით: „დღეს ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე მტერს შეუპოვარი იერიში მოჰქონდა ჩვენს პოზიციაზე სოფ. იანსინტუნის ჩრდილოეთით და სამხრეთით, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ. ენით გამოუთქმელი სროლა ჰქონდა არტილერიას. ერთმა ჩვენმა რაზმმა, რომელიც სინმინტინის გზის გასწვრივ მიიწევდა წინ, საშინელ ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო სოფ. ცინზაჩენი, ტაშიჩაოდან 4 ვერსის მანძილზე; ამ რაზმს უნდოდა წასულიყო უფრო წინ, მაგრამ შეაჩერა მტერმა, რომელსაც მოუვიდა მაშველი ჯარი სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. იაპონელებმა დიდი ზარალი ნახეს ცენტრის პირდაპირ. დღეს იერიში არ განახლებულა. პუტილოვის გორაკის მიდამოებში გუშინ ხელთ ვიგდეთ არა ორი, არამედ სამი ტყვიის მტყორცნელი, დღეს 50-ზე მეტი იაპონელი დავატყვევეთ. ჩვენი პოზიციის პირდაპირ კანდოლისანის მიდამოებში დღეს მტერს უნდოდა გამოელაშქრნა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. გაუტულინის უღელტეხილთან პოზიციებზე დღეს სიწყნარე იყო. იაპონელებმა ორჯერ მოიტანეს დღეს იერიში ჩვენს რაზმზე სოფ. უბენპუზასთან. დღეს საღამოს ექვს საათზე ყველა იერიშები მოვიგერიეთ. ზემოთ ჩამოთვლილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას.“ 2, ამა წლის 22 თებერვლის თარიღით: „დღეს, ასე დილის 5 საათზე, ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე მტერმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს რაზმებზე, სოფ. იანსინტუნისა და იუნხუანტუნის ფრონტზე, მაგრამ დილის ათს საათზე იერიშები მოგერებულ იქმნა. დღეს ასე დილის ხუთ საათზე, ცენტრში მოგერებულ იქმნა თავგამოდებული იერიშები, პუტილოვისა და ნოვგოროდის გორაკების წინა პოზიციებზე მოტანილი. კანდოლისანის მიდამოებში ჩვენს პოზიციებზე მტერს განუწყვეტელი იერიშები მოჰქონდა მთელ ღამეს, საღამოს 8 საათიდან დაწყებული; იერიშები მოგერებულ იქმნა. ზოგ ადგილას იაპონელები შემოგვექცევდნენ ზურგს და დაუწყებდენ თავისიანებს სროლას, თითქოს რუსების ჯარი იწევს უკანაო და ამგვარად იწევდნენ მავთულის ღობეებისაკენ. თანაც თავიანთი მაშველი ჯარი მიჰყავდათ. გაუტულინის პოზიციაზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ამ პოზიციის მარცხენა ფრთის პირდაპირ მტერი ახლოს სდგას. ჩვენს რაზმზე იაპონელებმა იერიშის მოტანა იწყეს გუშინ სოფ. უბენპუზასთან საღამოს 8 საათისას. შუა ღამისას ჩვენმა რაზმმა მოიგერია მტრისგან მოტანილი იერიში და წაართვა ორი ტყვიის მტყორცნელი. დილის ექვს საათზე იაპონელებმა ხელ-ახლა გამოილაშქრეს. ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიში მიიტანა, გაიმარჯვა და მესამე ტყვიის მტყორცნელიც იგდო ხელთ. მარცხენა ფრთაზე, გუშინდელი იერიშების მოგერების შემდეგ, ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ზემოდ მოყვანილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.—3, ამა წლის 22 თებერვლის თარიღით: „ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე დღეს დილით მტერმა ენერგიული იერიში მოიტანა ჩვენს ჯარებზე სოფ. იუხუანტუნთან. ერთი ნაწილი ამ სოფლისა უკვე ჰქონდათ იაპონელებს ხელში, მაგრამ ახლო-მახლო მდგომი ჯარები შეერთებულის ძალით მივიდა იერიშით მტერზე და უკუაგდო იგი. ერთი მუჭა იაპონელები (400-მდე კაცი) ჩასაფრდა სახლებში და საღამომდე გვიგერიებდა. ცენტრში იაპონელებმა განაახლეს იერიშის მოტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. მარცხენა ფრთაზე, სოფ. უბენპუზასთან, მტერმა დღეს, დილის ათ საათზე, იერიში მოიტანა ჩვენს რაზმზე, მაგრამ საშინელი ცეცხლი მივუპირდაპირეთ და იძულებული გახადეთ უკან დახეულიყვნენ. ზემოთ ჩამოთვლილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

24 თებერვალი.

ლონდონი, 23 თებერვალი. იაპონიის მისიისაგან მიღებულ დეპეშის თანახმად, იაპონიის რაზმმა, რომელიც სინზიპუს მხარეს მოქმედებს, დაიჭირა ხაიჩენი 50 მილის მანძილზე სინცზინის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საერთოდ შახეს მიდამოებში ისევ ისეთი მდგომარეობაა. 20 თებერვალს, რკინის გზის აღმოსავლეთით, რუსებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს იაპონელების პოზიციებზე, მაგრამ მოგერებულ იქნა ყველა. რკინის გზის დასავლეთით იაპონელებმა დაიჭირეს ხანჟენპუს ნაწილი. რუსები ბევრს ეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, მაგრამ ვერას გახდნენ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირას იაპონელებმა დაიჭირეს ლუვუანპუს უმეტესი ნაწილი. რუსების ერთმა დივიზიამ მიიტანა კონტრ-იერიში, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

ტოკიო. ოკუ მოსვენებას არ აძლევს რუსეთის მარჯვენა ფრთას. რუსები უკან იწევენ და მიაქვთ საზრდო და ზარბაზნები. ოკუ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს მიაღწიოს რკინის გზას და ჰელი შეუშალოს რუსების უკან დახევას.

ყაზანი. სახელოსნო [illegible] კვირა-უქმე დღეებში კაცობრიობის ლოცვა რუსების, აგრეთვე თათრების, მხოლოდ ნახევარი საათით. ამ დადგენილებას ტაშის ცემით შეხვდა ხალხი.

პარიზი. დელკასემ და რუვიემ მიიღეს აუდიენციაზე სერბიის ფინანსთა მინისტრი პაჩუ.

როსტოვი დონზე. სტამბებში დაიწყეს მუშაობა. ხვალ გაზეთებიც გამოვა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 თებერვალი.

მუკდენი, ღამის 2 საათი და 40 წ. 22 თებერვალს იაპონელთა დიდი ჯარი დაეცა ხანჩეპუს, ჩვენ ერთს წინაპუნქთაგანს რკინის გზაზე. რამდენიმე იერიშის მოტანის შემდეგ მტერი შეჩერებულ იქმნა. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდათ. რენენკამფის რაზმმა კიდევ მოიგერია იაპონელების იერიში. ამ წამს შესწყდა არტილერიის სროლა. როგორც ეტყობა, დასავლეთსა და შახეს ნაპირა ფრონტებზე სიჩუმეა.

ტოკიო. დღეს იაპონელებმა დაიჭირეს განჩუნტანი. ბრიტანიის გემები „ვენიუს“-ი და „აფროდიტე“-ი, ნახშირით დატვირთულები, რომლებიც ვლადივოსტოკს მიდიოდნენ, იაპონელებს დაუჭერიათ.

პარიზი. საფრანგეთის კორესპონდენტი მუკდენში კიდო იუწყება დეპეშით, რომ ბრძოლა მთელს ღამეს გაგრძელდაო. ორივე მხარეს იმდენი ზარალი მოუვიდათ, რამდენიც ლიაოიანშიც არ ჰქონიათო. ცერპიცკის რაზმს, რომელმაც რამდენიმე იერიში მოიგერია, დახოცილ იაპონელების გვამები ეფარებოდნენ წინ. მდგომარეობა მაინც გამოურკვეველია.

გენ. კუროკის არმია. გასულ ღამეს იაპონელებმა მოინდომეს გაერღვიათ რუსების რიგი, გავიდნენ რა მდინარეზე ვაიტოშანის დასავლეთით, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. დღეს სიმშვიდეა, მხოლოდ დილით იყო ზარბაზნების სროლა. დილით ამართეს წითელის ჯვრის ბაირაღი დაჭრილთა წასაყვანად.

მანილა. დაიჭირეს იაპონიის მეთევზე, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომც იგი სცდილობდა ჩაეძირა გემი „კარლეილი“, მაგრამ გამოუშვეს, რადგანაც ვერ დაამტკიცეს მიტანილი ეჭვი.

ოდესა, 23 თებერვალი. სახალხო განათლების მინისტრი წინადადებას აძლევს უნივერსიტეტს დაიწყოს სახელმწიფო გამომცდელმა კომისიამ მოქმედება მედიკურ ფაკულტეტზე და პროფესორებმა განაახლონ ლექციების კითხვა.

ვარშავა. გენ.-გუბერნატორის ადგილში ჩადგა მისი თანაშემწე ჰოდგოროდნიკოვი, რომელსაც მიენიჭა მხოლოდ სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობა. ფინანსთა სამინისტროს სასწავლებლებში სწავლას 1 მარტს განაახლებენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. გენ. კუროპატკინი იუწყება, 21 და 22 თებერვალს მუკდენის დასავლეთით და მთელ ფრონტზე გაძლიერებული ბრძოლა იყო, მტრის იერიში ყველგან მოვიგერიეთ და სოფ. უბენპუზასთან 3 ტყვიის-მტყორცნელი წავართვით იაპონელებსაო, მაგრამ დეპეშებიდან მაინც სჩანს, რომ საქმე იაპონელების სასარგებლოდ მიდის და სამხედრო ბედი ეხლაც არა ჰღალატობს მარშალ ოიამას. თუმცა რუსები თავგანწირვით იბრძვიან და მრავალი კონტრ-იერიში მიაქვთ, მაგრამ იაპონელები მაინც თანდათან წინ მიდიან. მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთით იაპონელებს სამი დიდი ზარბაზანი დაუდგამთ და რკინის გზის სადგურისა და ქალაქისათვის დაუშენიათ. მუკდენში დიდძალი სამხედრო და საკვები სურსათი აქვთ დამზადებული რუსებს. გენ. ოკუს არმია მდ. ხუნხესა და რკინის გზის პირად სხვა-და-სხვა პოზიციებს იჭერს, ლინშინპუს ჩრდილოეთით გამაგრებული სოფ. ხანჩენპუც აუღია. ეს სოფელი ლინშინპუდან 4 ვერსტის მანძილზე მდებარეობს ზემოდ რკინის გზის აღმოსავლეთით. ოკუ ცდილობს რუსებს გზა მოუჭრას და უკან დახევა დაუშალოს.

ცენტრში რამდენიმე პოზიცია დაუჭერიათ იაპონელებს. 20 თებერვალს პუტილოვის გორიდან 8 ვერსტზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით იუშანტუნი აუღიათ.

მარჯვენა ფრთაზეც, წინ წაუწევიათ იაპონელებს: ფუშუნის გზაზე მაძიადანიდან 4 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით სიმალუ აუღიათ; სინცინის მხარეს ხაიჩენის უღელტეხილი აუღიათ. რუსებს მრავალი იერიში მიუტანიათ, მაგრამ იაპონელებს ყველგან მოუგერებიათ და ახლად დაჭერილი პოზიციები არ დაუნებებიათ.

ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის არმიის ორმავე ფრთამ წინ წაიწია და რუსის არმიის ცენტრს თითქმის წრე შემოავლოო. ჰფიქრობენ, გენ. კუროპატკინი უკან დაიხევსო.

ცნობილი პოლკოვნიკი გედკეც ჰფიქრობს, შეიძლება რუსის არმიამ ტელინისაკენ დაიხიოსო.

სინმინტინიდან იუწყებიან, რუსის ბანკი მუკდენში დაკეტეს და ტელინში გადაიტანესო. ნიუ-ჩუანიდან იუწყებიან, ტელინიდანაც მიდის კერძო ხალხიო.

„ნოვოსტი“ სწერს: ომის ასპარეზიდან ისეთი მოკლე, ნაწყვეტი, არეული, ერთიმეორის წინააღმდეგი, ცენზურისაგან დამახინჯებული ცნობა მოდის, რომ კაცს თვალნათლივ ვერ წარმოუდგენია, როგორ მიდის საქმე მუკდენთან. მაგრამ გინდ გენ. კუროპატკინმა მართლაც დაიხიოს ტელინისაკენ, ეს სულაც არ იქნება მოულოდნელი ამბავი. ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსის მთავარ შტაბს მხოლოდ დროებითი სადგომი ჰქონდა მუკდენში და გენ. კუროპატკინი სულაც არ აპირობდა იქ სამუდამოდ დამკვიდრებას; მთავარ-სარდალი ვაგონში დგას და ყოველ წამს მზადაა წასასვლელად. ნუ გავიწყდებათ, რომ ამისთანა შემთხვევა წინადაც (აგვისტოში) მოხდა. გენ. კუროპატკინმა მაშინაც მოულოდნელად მიატოვა ლიაოიანი, მუკდენისაკენ დაიხია და თავის „გენიალურ“ უკან დახევით მთელი ქვეყნიერობა გააკვირვაო:

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი, სხვათა შორის, სწერს: 8 თებერვლიდან 16 თებერვლამდე გენ. კუროკიმ თავის განაპირა მარჯვენა ფრთაზე 85 ვერსტი წაიწია წინ (ციანჩანიდან) და 16 თებერვალს იმისი მოწინავე რაზმები 12 ვერსტზე მიუახლოვდნენ მდ. ხუნხეს. გენ. კუროკი სოლივით შეიჭრა გენ. ბილდერლინგისა და გენ. ლინევიჩის არმიებს შუა და რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან შემოუარა... 16 თებერვალს გენ. ოკუმაც იერიში მიიტანა გენ. კაულბარსის არმიაზე ჩჟანტანიდან შახემდე... სჩანს, მარშალი ოიამა რუსის არმიის ორსავ ფრთის გვერდიდან შემოვლას და ცენტრის გარღვევას აპირობს. ამას გარდა იაპონელები სინმინტინსაც დაეცნენ. აქედან სჩანს, მარშალი ოიამა მორიდანაც უპირობს რუსის პოზიციებს გვერდიდან შემოვლას. ბევრი რამაა ეხლა იმაზე დამოკიდებული, თუ მდ. ლიაოხესაკენ წასული რაზმი გენ. კავამურას მეხუთე არმიის ნაწილს შეადგენს, თუ იქაც გენ. ოკუს არმიის ნაწილი მოქმედებს. თუ ლიაოხეზე გენ. კავამურას არმიის მოწინავე რაზმი მოქმედებს, მაშინ რუსის არმია დიდ განსაცდელში ჩავარდება...

ბ. გარინი სწერს „რუსკოე სლოვო“-ში: ჰფიქრობენ, იაპონელებს მუკდენისაკენ 80 ათას კაცამდე ეყოლებათ გაგზავნილიო. ამას წინად სახეტუნიდანაც იუწყებოდნენ, იაპონელებს მუკდენის დასავლეთით 4 დივიზია ჯარი ჰყავთო.

„ტაიმს“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, იაპონელები უსათუოდ შტურმით აიღებენ პუტილოვის გორასაო. ეს გორა მეტადაა გამაგრებული, ყელია რუსის პოზიციებისა მდ. შახეზე და მუკდენის კარია. ამას გარდა, პუტილოვის გორაზე რუსებმა ცოტა არ იყოს, გაიმარჯვეს. ამიტომ უნდა ველოდეთ, რომ იაპონელები ამ გორაზეც ისეთსავე თავგანწირულ შტურმს მიიტანენ, როგორიც ნოემბერში განთქმულ 203 მეტრიან გორაზე მიიტანეს. („ო. ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი 16 თებერვალს იუწყება მუკდენიდან: დღეს დილით იაპონელების ქვეითა ჯარი იერიშით წამოვიდა პუტილოვის გორაზე და რუსის მოწინავე მოდარაჯე რაზმებს სამი ვერსტი დაახევინა უკან. ჩინელები ამბობენ, პუტილოვის გორის პირდაპირ 70-მდე საალყე ზარბაზანი დადგეს იაპონელებმაო.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: დალინის უღელტეხილზე რუსის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა იაპონელთა შრაპნელისა და ყუმბარებისაგანაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა ოფურასთან ერთს გორაზე რუსის რაზმს წრე შემოავლეს, იერიში მიიტანეს და 60 კაცი დაატყვევეს. ზოგ ტყვეს ჩინური ტანისამოსი აცვია და მეტად დაქანცული სახე აქვს. („მ. ვ.“).

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი სწერს: რუსებმა ისე გაჩქარებით დაიხიეს დალინის უღელტეხილიდან, რომ იმათი უკან დახევა უფრო გაქცევასა ჰგავდაო. რუსის მარცხენა ფრთას რომ ასე სწრაფად არ დაეხია უკან, იაპონელები უსათუოდ გზას მოუჭრიდნენ. ცინხეჩენის სამხრეთ-დასავლეთით იაპონელებმა წრე შემოავლ[illegible] ერთს რუსის რაზმს, რუსები თავგან[illegible]

იბრძოდნენ; მაგრამ ბოლოს იაპონელებს ტყვედ დაჰნებდნენ. („რ.").

გენ. კუროპატკინი და გენ. გრიპენბერგი. პოლკოვნიკი გედკე სწერს „ბერლინერ ტაგებლატ"-ში: გენ. გრიპენბერგი არ უნდა წასულიყო არმიიდან. ეს დისციპლინის დარღვევაა, დანარჩენში კი გენ. გრიპენბერგი მართალი უნდა იყოს. გენ. კუროპატკინი ყველა დამარცხების დროს ერთ-ერთ ხელ-ქვეით გენერალს იხდიდა დაბალ ლობედ და მთელს ბრალს თავზე ახვევდა; თავის თავზე პასუხის-გება-კი არც ერთხელ არ უკისრნია. ეხლა დროა ეკითხოს გენ. კუროპატკინს, თითონ სად და როდის-ღა აპირობს გამარჯვებას. („რ.").

ხუნხუზების მოქმედება. ხუნხუზები უფრო და უფრო გაბედულად მოქმედებენ. ხარბინიდან ატყობინებენ „პეტერბურგსკი ლისტოკ"-ს: ხუნხუზები იაპონელ აფიცრების წინამძღოლობით რკინის გზის ახლო იყრიან თავსა. ყაზახთა რაზმმა იერიში მიიტანა ხუნხუზების ჯგუფზე სადგურ ლომაგოუდან 15 ვერსტის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ ხუნხუზებმა თოფი დაუშინეს და ყაზახებს უკან დაახევინეს. რუსებს იანვრის გასულს პეტერბურგიდან მოსული პოლკოვნიკი მირბახი და ერთი ყაზახი მოუკლეს, პოდესაული ტუროვეროვი და 4 ყაზახი დაუჭრეს ხუნხუზებმა.

გაუგებარი სიტყვები

ასე ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

ქართველი „ინოროდეცი" არ არისო, უთქვამს სტატს-სეკრეტარ ს. ვიტტეს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, თავად ს. წერეთლისათვის, როცა თავისი წერილობითი მოხსენება წარუდგენია ქართველთა საჭიროებებზე.

ს. ი. ვიტტეს დიდი ადგილი უკავია პეტერბურგში; თან დიდი გავლენაც აქვს თურმე მთავრობის წრეებში. ამიტომ მის ნათქვამს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, მით უფრო, რომ მსგავსი ჯერ არავისაგან გვსმენია.

მართლაც, ვის ეძახიან „ინოროდეც"-ს რუსეთში? აქამდე გვეგონა, რომ „ინოროდეცი" იყო ყოველი არა-რუსი, რომელიც კი რუსეთის იმპერიაში სცხოვრობს; მაშასადამე, ქართველიც, როგორც არა-რუსი, უთუოდ „ინოროდეცი" უნდა გვგონებოდა.

გარდა არა-რუსობისა სხვა საბუთებიც არის ქართველის „ინოროდცობისა".

ყოველი რუსი ერთ კანონს ემორჩილება (ამ კანონის ღირსება-ნაკლულევანების განხილვაში აქ არ შევდივართ); ეს კანონი ყოველ რუსს ერთნაირად მფარველობას თუ სასჯელს აყენებს. „ინოროდეცი" კი სხვა მდგომარეობაშია: მისთვის საგანგებო კანონებია შედგენილი. რუსს არავინ უკრძალავს თავის ენაზე ისწავლოს, „ინოროდეცს" კი ეს უფლება წართმეული აქვს; რუსი თავის სასამართლოში მიდის და სამართალი სამშობლო ენაზე სწარმოებს; „ინოროდეცი" კი ამას მოკლებულია; რუსი მიდის და ესახლება თავისუფალ ადგილზე და დაშლის მაგიერ დიდ შემწეობასაც აძლევენ; „ინოროდეცი" კი ხშირად ყიდვის უფლებასაც არის მოკლებული და თავის ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი ვერ უშოვია და სხვა და სხვა და სხვა.

აი, ამისთანა ნიშნებით იცნობა ნამდვილი „ინოროდეცი" და სწორედ ამიტომ გვეგონა, რომ ქართველი, ჩამომავლობის გარდა, ამ მხრივაც ნამდვილი „ინოროდეცია".

ეხლა კი გვეუბნებიან—ქართველი, როგორც მართლ-მადიდებელი, „ინოროდცებს" არ ეკუთვნის და ამიტომ არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს იმპერიის ძირითად მცხოვრებთაგანაო.

ას წელიწადზე მეტია ქართველთა ცხოვრება მჭევრმეტყველურად ღაღადებს ჩვენს უკიდურესს „ინოროდცობას" და მართლმადიდებლობას ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. პირიქით, საქმე იქამდე მივიდა ამ ბოლო დროს, რომ ზოგან მორწმუნე ხალხს ლოცვაც-კი ვერ მოუსმენია თავის ენაზე, მაშინ როდესაც არა-მართლ-მადიდებელი „ინოროდეცი" ყველგან თავის ენაზე ლოცულობს, ეკლესიას თვითონ უვლის, პატრონობს.

ვერ გვიშველა მართლმადიდებლობამ პირ-და-პირ, საჯარო შეურაცხყოფისაგანაც-კი. ვის არ ახსოვს ექსარხოსის პავლეს სიტყვა და წყევა-კრულვა მთელის ქართველის ერისა; ვინ არ იცის დაცინვა და დამცირება ქართველ მოსწავლეებისა, რომელნიც, რუს გამწრთვნელების, ზრდილ ტერმინოლოგიით, ძაღლის ენაზე (ქართულზე) საუბრობენ!

ნუ თუ ამის შემდეგ საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველები არა თუ „ინოროდცებად", კიდევ უარეს „როდცებად" არიან მიჩნეული!

ეხლა-კი გვეუბნებიან, ქართველი „ინოროდეცი" არ არის, რადგან მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებსო.

ზოგი ჩვენებური „ოპტიმისტი", იქნება, გახარებულიც იყოს სტატს-სეკრეტარ ვიტტეს სიტყვების გამო: თუ აქამდე ჩვენი მდგომარეობა განსხვავებული იყო, დღეიდან იგი შეიცვლება, რადგან მაღალ სფერებში ეხლა აღარ გვთვლიან „ინოროდცებად", და გაგვათანასწორებენ უფლებებით ნამდვილ რუსებთანო.

ჯერ ერთი ის, რომ ბევრი ქართველი მართლმადიდებელი არ არის: დიდძალი ქართველობა მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებენ; გვყავს ბლომად ქართველი კათოლიკენიც, თუმცა კანონი დაჟინებით უარყოფს ამას; მაშასადამე, ეს ამოდენა ნაწილი ქართველებისა „გაუთანასწორებელი" დარჩება. მეორე გათანასწორებაც არის და გათანასწორებაც: მაგ. მომავალი რუსული სკოლა, შეიძლება, კარგი იქნეს და ეს კარგი რუსული სკოლა გადმოიტანეს ჩვენში—ამასაც გათანასწორებას დაარქმევენ, მაგრამ ნამდვილად კი ხომ ისევ დაჩაგრულები გამოვედით, რადგან როგორც რუსს რუსული სკოლა ეჭირვება, ის ჩვენ ქართული გვინდა და როცა ეს გვექნება, მაშინ მართლა გათანასწორებული ვიქნებით; ესევ ითქმის სასამართლოზე, ადმინისტრაციაზე, მართვა-გამგეობაზე.

მესამე, იმ ყალბ გათანასწორების იმედიც არ არის მაღალ სფერების მხრივ.

მართლაც, დღეს თუ ხვალ რუსეთში დიდი ცვლილებაა მოსალოდნელი: ბიუროკრატიულ წესწყობილებას საბოლოოდ ეთხრება ძირი, უმაღლესის ბრძანების თანახმად, მალე პეტერბურგში უნდა მიიწვიონ ხალხის წარმომადგენლები, უნდა შესდგეს საერო კრება. და სწორედ ამ დროს ჩვენში შემოაქვთ განსხვავებული მართვა-გამგეობა—ნამესტნიკობა.

რას უნდა ნიშნავდეს მთავრობის ეს ლონისძიება, თუ არ იმას, რომ ჩვენ მოკლებული ვიქნებით საერო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლებასაც, როგორც ეს ცხადად არის დამტკიცებული გუშინდელ ჩვენ გაზეთის ნომერში?

ერთის სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა შევხედოთ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ნათქვამს, იგი მარტოოდენ გაუგებრობას იწვევს.

W

დღევანდელი დამოკიდებულება ერთა შორის

ამ წერილში სახეში გვაქვს მხოლოდ იურიდიული, უფლებრივი დამოკიდებულება ერთა შორის და არა ისეთი, როდესაც ერთა შორის არავითარი უფლება და კანონი არ არსებობს როდესაც ერთს ერს, სახელმწიფოს დაუმორჩილებია და დაუმონებია მეორე ერი და უნდა მოსპოს უკანასკნელის ეროვნება, დამოუკიდებელი ცხოვრება და თვით-მმართველობა. ჩვენ აქ ვილაპარაკებთ მარტო ერთა ისეთ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაზე, რომელსაც აქვს ხასიათი კავშირისა, თანხმობისა და თანასწორობისა.

ასეთი დამოკიდებულება, რომლის პრინციპი ერთა თანასწორ უფლებიანობაა, სხვა და სხვანაირია, მაგრამ უმთავრესი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ზოგან ერები ძლიერ დაახლოვებულნი არიან ერთმანეთთან, ზოგან კი კავშირი არ არის ასე მჭიდრო და შეკავშირებულ ერებს საერთო საქმე და დაწესებულება ცოტა აქვთ.

ყველაზე უწინარეს უნდა აღვნიშნოთ **პროტექტორატი** (მფარველობის გაწევა). ეს ძველებურ ურთიერთობის ფორმაა, დღეს იშვიათად შეხვდებით და ისიც გაუნათლებელ ქვეყნებში. პროტექტორატი გამოიხატება იმაში, რომ ხელშეკრულობის ძალით ერთი სახელმწიფო ჰპირდება მეორე სახელმწიფოს გარეშე მტრებისაგან დაცვას, სამაგიეროდ უკანასკნელი ვალდებულია, არა მოიქმედოს-რა ისეთი, რაიც საწინაამდეგო იქნება პირველის ინტერესებისათვის. იშვიათი მოვლენაა აგრეთვე დღეს **პირადი უნია** (შეერთება). ასეთის უნიის დროს ორს სახელმწიფოს საერთო აქვთ ის, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ. ამ უკანასკნელისაგან განირჩევა **რეალური უნია**, რომელიც პირველსავით მონარქიული შეერთებაა და მდგომარეობს იმაში, რომ ორს სახელმწიფოს, გარდა საერთო ხელმწიფისა, აქვთ ზოგიერთი საერთო საქმე, როგორც აქვთ დღეს, მაგალითად, ავსტრიასა და უნგრეთს (სამხედრო და გარეშე საქმეებისათვის ერთი გამგებლობა).

კავშირი სახელმწიფოთა (კონფედერაცია). ასეთი კავშირია, როდესაც რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეკავშირდება დროებით რაიმე განსაზღვრულ ინტერესებისათვის, უმთავრესად სამხედრო მიზნისათვის. ასეთს კავშირს არ მოეპოვება რეალურ უფლებით აღჭურვილი საერთო ორგანო, არ არის ხანგრძლივი. იგი ან უნდა დაიშალოს ან უნდა განვითარდეს და გადაიქცეს **ფედერაციად** (შეკავშირებულ სახელმწიფოდ). სახელმწიფოთა კავშირი იყო პირველად დღევანდელი შეერთებული შტატები და შვეიცარიის კანტონები, რომელთაც შემდეგ მიიღეს სახე ფედერაციისა, ე. ი. უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და უფრო მჭიდრო კავშირი შეჰკრეს.

კონფედერაციისა და ფედერაციას შორის პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს: უკანასკნელი მხოლოდ უფრო ღრმა, მტკიცე და დაახლოვებული შეერთებაა. ფედერაცია შეიძლება როგორც მონარქიებისა, ისე რესპუბლიკებისა. მონარქიების ფედერაციაა დღეს გერმანიის იმპერია, რესპუბლიკების—შვეიცარია (1848 წლიდან), შეერთებული შტატები ამერიკაში (1789 წ.), კანადა (1867 წ.), მექსიკა (1824 წ.), ბრაზილია (1889 წ.), არგენტინა (1853 წ.), ავსტრალია (1900 წ.). ფედერაციისაგან განირჩევა ისეთი სახელმწიფო, როგორიც არის ინგლისი, სადაც ძლიერ განვითარებულია ადგილობრივი თვით-მმართველობა, მაგრამ ცალკე ნაწილებს და ოლქებს არა აქვთ სახელმწიფოს ხასიათი, როგორც ეს არის ფედერაციაში. ადვილად შეიძლება, რომ ოლქობრივი თვით-მმართველობა განვითარდეს და უნიტარული, ერთეული სახელმწიფო გარდაიქცეს ფედერაციად. ან ფედერაციის ნაწილები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ფედერაცია შეიცვალოს უნიტარულ სახელმწიფოდ.

ფედერაციაში ერთია ტერიტორია და ხალხი, ერთი აქვს საკანონმდებლო ორგანო (პარლამენტი), აგრეთვე აღმასრულებელი ორგანოც (მეფე, პრეზიდენტი, სამინისტრო). მაგრამ ამასთანავე ყოველს წევრს ფედერაციისას აქვს აგრეთვე თავისი საკუთარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. კერძო და საერთო საქმეები სხვა-და-სხვა ფედერაციაში სხვა-და-სხვანაირად არის განსაზღვრული, თუმცა ზოგიერთი საგანი, მაგალითად, ჯარი, ფული, საერთოა ყველა ფედერაციაში. შვეიცარიაში ცალკე კანტონებს უფლება აქვთ ხელშეკრულობა დასდვან გარეშე მეზობელ სახელმწიფოებთან, თუ ხელშეკრულობა არ ეწინააღმდეგება ფედერაციის კანონებს. გერმანიაში საერთო მმართველობის საქმეა—ჯარი, დამოკიდებულობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, ფულის მოჭრა, ფოსტა, ტელეგრაფი, სისხლის სამართლის და სამოქალაქოს კანონმდებლობა. ამერიკის შტატებში კი ასეთი კანონმდებლობა ცალკე შტატების საქმეა. ზევით ვსთქვით, რომ ჯარი საერთო უნდა იყოს ფედერაციაში, მაგრამ ცალკე წევრებს შეუძლიანთ იქონიონ საკუთარი ორგანიზაცია ჯარისა. აგრეთვე ფინანსები შეიძლება იყოს ადგილობრივი, ცალკე წევრებისა, და საერთო მთელი ფედერაციისა. ყოველი კანონი შეეხება ყველა წევრს ფედერაციისას და ამ შემთხვევაში იგი გამოცემულია ფედერატიულ პარლამენტის მიერ, ან შეეხება მარტო ცალკე წევრს, მაშინ კანონი გამოცემულია ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

ფედერაციაში ყველაზე უფრო შეთანხმებულია დამოუკიდებლობა და ერთობა. ერების განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა ერთიც და მეორეც. ამიტომ ფედერაცია საუკეთესო ფორმაა ერების შესაერთებლად. ელლინეკის აზრით, ფედერაციას ეკუთვნის დიდებული როლი კაცობრიობის მომავალ ორგანიზაციაში. მხოლოდ ფედერაციით შეიძლება შეკავშირდეს მთელი კაცობრიობა და დამყარდეს ქვეყანაზე სასურველი ერთობა. პროგრესს ერთნაირად ეწინააღმდეგება როგორც სრული განცალკევება ერთა და საზოგადოებათა, ისე სრული მოსპობა ეროვნულ და საზოგადოებრივ თვითმოქმედებისა და თვით-მმართველობისა.*) ფედერაცია თუ საუკეთესო ორგანიზაციაა რომელისამე ერთის ერისა ან სახელმწიფოსათვის, მით უფრო საჭირო და შესაფერია იგი ერთა, განსაკუთრებულ მეზობელ ერთა შესაერთებლად.

ჩვენ შემდეგ უფრო დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს შვეიცარიის კანტონების, შეერთებულ შტატების და ავსტრალიის ფედერაციას.

კალამი

სიამოვნებით ვბეჭდავთ ქვემოდ პატივცემულ სომეხ არქიმანდრიტების წერილს და სიხარულს ვაცხადებთ იმის გამო, რომ ჩვენს წრფელს თანაგრძნობას და მოწოდებას ასეთი კეთილი შედეგი მოჰყვა. ბევრი ნიშანია იმისი, რომ „ბოროტი და ანგაარი მეთევზე ველარ აგვიმღვრევს კეთილ მეზობლობისა და ძმობის ანკარა წყალს", და ამ ნიშნებ შორის აღსანიშნავია სომეხთა წარჩინებულ სასულიერო პირების ფიცი და აღთქმა—ძმობას, საერთო საქმისათვის თავდადებას ვუქადაგებთ ჩვენ სამწყსოსო: ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სასულიერო წოდებას დიდი ადგილი უკავია სომეხთა ცხოვრებაში, დიდის გავლენის პატრონია და ნდობაც აქვს დამსახურებული ხალხისა. თუ შეგნებული ინტელიგენცია და ასე გავლენიანი სამღვდელოება მტკიცედ და მხნედ შეუდგებიან ძმობისა და ერთობის ქადაგებას, საქმეს წინ ვერავინ და ვერაფერი გადაეღობება, მით უფრო, რომ მუშა ხალხში უკვე მოკიდებული აქვს ფეხი ასეთ შეგნებას.

ახალი ამბავი

✦ **საომარ დროის წესები** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შემოღებულ იქნა 21 თებერვლიდან. ამასთან ხელოსანთა და მუშებს გამოეცხადათ, რომ ზემოხსენებულ წესების პირველ, მესამე, მეათე და მეთოთხმეტე მუხლების ძალით, არც ერთ ხელოსანს, რომელიც-კი 15 წლისაზე უმცროსი არ არის, უფლება არა აქვს რკინის გზის უფროსის ნება-დაურთველად სამსახურს თავი გაანებოს ან მუშაობაზე ხელი აიღოს, თუ არ ავადმყოფობის გამო.

✦ ტფილისის ქალაქის სამღვდელოებას ამ დღეებში კერძო თათბირი ექნება. უნდათ ნება-რთვა აიღონ **სამღვდელოების წარმომადგენელთა კრების** მოსახდენად. თუ კრება ნება დართული იქნება, ერთს წრეს სამღვდელოებისას გადაწყვეტილი აქვს მოხსენება წარადგინოს საზოგადოდ სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სულიერ მწყემსთა სამწყსოსთან დამოკიდებულების განკარგების შესახებ. კრებავე აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას ტფილისის სასულიერო სემინარიის, გორის სასულიერო სასწავლებლის და ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის დახურვის მიზეზთა გამოსაკვლევად.

✦ ტფილისის ქალაქის **მართლ-მადიდებელთა სამღვდელოებას** აზრადა აქვს დააარსოს საექსარხოსო სამღვდელოებისათვის ემერიტალური და სამარხი კასები. დღეს, 25 თებერვალს, ქართლ-კახეთის ეპარქიის ორ საბლაღოჩინოს წარმომადგენელთ კრე-

---

*) საყურადღებოა, რომ ფედერაციის პრინციპი უფრო და უფრო ვრცელდება ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, მაგ. ფედერატიული ორგანიზაცია აქვს საფრანგეთის და ავსტრო-უნგრეთის სოც. დემოკრატიას.

ფელეტონი

წითელი სიცილი *)

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევები ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეშვიდე

...ის იყო უღმერთობა, ეს იყო უკანონობა! [illegible] წითელ ჯვარს პატივს სცემს მთელი ქვეყანა, ვით წმიდანებს, ისინი ჰხედავდნენ, რომ მოდიოდა მატარებელი დაჭრილ-უსენო ხალხით და არა სალდათებით, იმათ უნდა გაეფრთხილებინათ, შეეტყობინებინათ ჩადებულ ნაღმზე საწულები, ისინი კი ოცნებობდნენ სახლზე....

ნარკვევი მერვე

....სამოვრის ირგვლივ ვისხედით, ნამდვილ სამოვრის ირგვლივ, რომლიდანაც ორთქლი ძლიერად ამოდიოდა, ვით ორთქლმავალიდან, ისე რომ ლამპის შუშაც კი ცოტაოდენ შეორთქლილიყო, ფინჯნებიც ისეთივე იყო, გარედან ლურჯი და შიგნიდან თეთრი, ლამაზი ფინჯნები, რომლებიც მოგვიძღვნეს ჯერ კიდევ ჯვარის წერამდე. ცოლისდამ მოგვიძღვნა,—ის ძალიან კარგი და კეთილი ქალია.

— ნუ თუ ყველა მთელია?—ურწმუნოდ ვკითხე მე და დავიწყე შაქრის მორევა ვერცხლის სუფთა კოვზით.

— ერთი გატეხეს,—სთქვა ცოლმა დაბნეულად, მას ამ დროს მოეშო სამოვრის ლულა, საიდანაც ლამაზად და მარდად ჩამოდიოდა ცხელი წყალი.

მე გავიცინე.

— რა იყო?—მკითხა ძმამ.

— ისე, არაფერი. აბა ერთი კიდევ გამიყვანე სამუშაო ოთახში. გაისარჯენით ცოტა გმირისათვისაც. არაფერს აკეთებდით უჩემოდ აქამდის განა, ეხლა მორჩა, მე ვიცი მე თქვენი,—გავისტუმრე მე და დავდიდინე:—ჩვენ მტრებზედ, ძმებო, გმირულად მივალთ...

ისინი [illegible] ჩემს ხუმრობას და მათაც გაიღიმეს, მხოლოდ ცოლმა არ აიხედა ზევით: ის სწმენდდა ჭურჭელს სუფთა, ნაკერ პირსახოცით. სამუშაო ოთახში მე ისევ დავინახე: ცისფერი შპალიერი, ლამფა მწვანე სახურავით და სტოლი, რომელზედაც იდგა გრაფინი წყლით. ის ცოტა გამტვერიანებულიყო.

— დამისხით ერთი წყალი აქედან,—მხიარულად ვუბრძანე მე.

— ეს იყო ხე---ჩაი დალიე შენ.

— არა უშავს რა, არა უშავს რა, დამისხით. შენ კი—ვუთხარ მე ცოლსა,—წაიყვა შვილი და დასხედით მეორე ოთახში, თუ შეიძლება.

ყლუპ-ყლუპით, სიამოვნებით ვსვამდი წყალს, გვერდის ოთახში კი ისხდნენ ცოლი და შვილი, და მე იმათ ვერა ვხედავდი.

— ოჰ, კარგი, ეხლა მოდით აქ, მაგრამ ეგ რატო ასე გვიან არა წვება დასაძინებლად.

— უხარიან შენი დაბრუნება: მიდი, ჩემო კარგო, მამასთან.

ბავშმა მორთო ტირილი და ჩამალა თავი დედის კალთაში.

— რათა სტირის? განცვიფრებით ვიკითხე მე და მივიხედე გარშემო:

— რათა ხართ ყველანი აგრე ჩაფითლებულები, გაჩუმებულები და დამდევთ მე აჩრდილებსავით? ძმამ ხმა მაღლა გაიცინა და სთქვა:

— ჩვენ ჩუმად არა ვართ.

დამაც გაიმეორა.

— ჩვენ სულა ვლაპარაკობთ.

— მე წავალ, ვახშამზე ვიზრუნებ,—სთქვა დედამ და საჩქაროდ გავიდა.

— თქვენ ჩუმად ხართ,—მოულოდნელის დარწმუნებით გავიმეორე მე.—დილას აქეთია მე თქვენგან არც ერთი სიტყვა არ გამიგონია, მარტო მე ვუბედობ, ვიცინი, ვმხიარულობ. განა თქვენ არ გიხარიანთ ჩემი მოსვლა? რად ერიდებით ყველანი აგრე ჩემს ყურებას, განა მე აგრე ძალიან გამოვიცვალე? დიახ, გამოვიცვალე. მე აქ სარკეებსაც ველარა ვხედავ. სადაგეთ სარკეები? მომეცით აქ სარკე.

— ეხლავე მოგიტან,—მომიგო ცოლმა, გავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა, სარკე-კი მოსამსახურე გოგომ მომიტანა. ჩავიხედე. ვნახე კიდეც ჩემი სახე ვაგონში, სადგურზე—ეს ისევ ის სახე იყო, მხოლოდ ცოტათი დაბერებული, მაგრამ ჩვეულებრივი სახე. ისინი-კი რატომღაც მოელოდნენ, რომ მე დავიყვირებდი და გული წამივიდოდა. მათ ძალიან გაუხარდათ, როდესაც წყნარად ვკითხე:

— მერე რა არის აქ არა ჩვეულებრივი?

ხმა მაღლა სიცილით ჩემი და საჩქაროდ გავიდა, ძმამ-კი დარწმუნებით და დინჯათ მითხრა:

— ჰო, შენ ცოტათი გამოიცვალე, გამელოტდი ცოტათი მხოლოდ.

— იმის მადლობელიც იყავი, რომ თავი მთელი შემრჩა,—გულგრილად ვუპასუხე:—მაგრამ სად დარბიან ყველანი: ხან ერთი გარბის, ხან მეორე, გამატარე ცოტა კიდევ ოთახებში. რა მოხერხებული სავარძელია, სრულიად უხმაუროა. რა მიეცით? მე ფული სრულიად არ მენანება: ვიყიდი ჩემთვის ასეთ ფეხებს, ისა სჯობია... ველოსიპედი!

იგი ეკიდა კედელზედ, ჯერედ ისევ ახალი, მხოლოდ დამჩატებული რეზინის რკალებით უხმარობისაგან. უკანა თვალის რკალს მიჰკრობოდა ტალახი უკანასკნელ სეირნობის დროს. ძმა გაჩუმებულიყო და არ ანძრევდა სავარძელს. მივუხვდი ამ სიჩუმეს და გაუბედაობას.

— ჩვენ პოლკში მარტო ოთხი აფიცერი გადარჩა,—დაღვრემით ვსთქვი მე.—მე ძალიან ბედნიერი ვარ... ეგ კი შენ წაიღე, ხვალ წაიღე.

— კარგი, წავიღებ,—მორჩილებით დამეთანხმა ძმა.—ჰო, შენ ბედნიერი ხარ. ჩვენი ქალაქი ნახევრად სულ ძაძებშია. ფეხები, მართალია...

— რასაკვირველია, მე ფოსტის მოხელე არა ვარ

ძმა ერთბაშად შედგა და მკითხა:

— რათ აცანცარებ თავს?

— ეს არაფერია, გაივლის, ექიმმა სთქვა.

— ხელები აგრეთვე?

— ჰო, ჰო, ხელებიც, სულ ყველაფერი გაივლის. გამატარე, თორემ მომწყინდა დგომა.

ამ უკმაყოფილო ხალხმა გუნება ამიშალა, მაგრამ სიხარული კვლავ დამიბრუნდა, როდესაც დაიწყეს ჩემთვის ლოგინის მზადება: ლოგინს ასწორებდნენ, ნამდვილს ლოგინს, ლამაზ საწოლზედ, რომელიც ვიყიდე ქორწილის წინ, ოთხი წლის წინად. გადაფინეს სუფთა ზეწარი, მერე გაბღერტეს ბალიშები, გადაკეცეს საბანი—ვუყურებდი ამ დიდებულ სურათს და სიცილისაგან თვალებში მომადგა ცრემლები.

— აბა ეხლა გამხადე და ჩამაწვინე,—ვუთხარ ცოლს,—ოჰ, რა კარგია!

— ეხლავე, ჩემო კარგო.

— ჩქარა.

— ეხლავე, ჩემო კარგო.

— ჰა, რასა იქ?

— ეხლავე, ჩემო კარგო.

იგი იდგა ჩემ ზურგს უკან და მე ამაოდ ვიბრუნებდი თავს მას დასანახად.

ერთბაშად მან დაიკივლა, ისე დაიკივლა, როგორც კივიან ომში.

— რა ამბავია ეს!

ის მომვარდა, მომხვია, დაეცა ჩემს ახლოს, ჰმალავდა თავს მაჭრილ ფეხებში, შიშით ერიდებოდა, მერე ისევ ეწეოდა; ჰკოცნიდა ამ ფეხების ნაჭრებს და სტიროდა:

— როგორი იყავი! შენ ხომ ჯერ მარტო ოც და ათის წლისა ხარ, ახალგაზრდა... ლამაზი იყავი. რა არის ეხლა ეს? რა სასტიკია ხალხი. რის გამოსადეგია ეს? ვისთვის რის მაქნისია? ჩემო წყნარო, საცოდავო, კარგო, კარგო...

ამ ყვირილზედ მოცვივდნენ ყველანი—დედა, და, ძიძა. ყველანი სტიროდნენ, რაღაცას დაპარაკობდნენ, ეყარნენ ჩემ ფეხებთან და ასე სტიროდნენ. კარებში კი იდგა ჩემი ძმა სრულიად თეთრი, ყბა უცახცახებდა და საშინლად ყვიროდა:

— მე აქ თქვენთან ჭკუაზედ შევცდები!

დედა დაფოფხავდა საწოლთან და აღარა წიოდა, არამედ ხრიალებდა და თავს ურტყამდა სავარძლის თვლებს: სუფთა, გაბღერტილ ბალიშებით, დაკეცილ საბნით იდგა საწოლი, ის საწოლი, რომელიც ვიყიდე ამ ოთხი წლის წინად, ქორწილის წინ...

ი. ხირსელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ცნობ. ფურც" № 2748

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი" ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ბა ექმნებათ ამ საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ 25 იანვარს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა **მთელ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე** მატარებლებს მეტადრე სახალხოს, სიფრთხილით და ნელა ევლოთ, რისთვისაც მემანქანეებს სადგურის მორიგი აგენტები გასაფრთხილებელ ბარათებს აძლევდნენ. ეს განკარგულება 23 თებერვლიდან გაუქმებულ იქმნა. მატარებლები, როგორც სახალხო, ისე საქონლისა ჩვეულებრივ წესით და სიჩქარით დადიან.

◆ 25 იანვრიდან, როგორც უკვე ვწერდით, **შესწყდა ღამეობით მატარებლების მიმოსვლა** რიონიდან ბათუმსა და ქუთაისამდის, სამტრედიიდან ფოთამდის, ქუთაისიდან ტყიბულამდის და შორაპნიდან ჭიათურასა და საჩხერემდის. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით 24 თებერვლიდან ეს განკარგულება გაუქმდა და მატარებლები წინანდელის წესით დადიან.

◆ **ამიერ-კავსასიის რკინის გზაც** გაჭირვებაში ჩავარდა იმის გამო, რომ ბათუმსა და ფოთს არ არის საზღვაო მოქმედება. ბევრი ისეთი მასალაა მოსული, რომელიც ძლიერ საჭიროა, მეტადრე ნავთის მილის გასაყვანად.

◆ **ჩხარიდან გვწერენ**: ღამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც საშინელმა თვალის მომჭრელმა სინათლემ გამოაღვიძა და ფეხზედ დააყენა მთელი ჩხარის საზოგადოება. შიშმა, სიბრალულთან შეერთებულმა, მოიცვა მცხოვრებნი, როცა შეხედეს, რომ მათ პატარა ქალაქს ცეცხლის ალი მოსდებოდა და ჩანთქმას უპირებდა. შვიდი-რვა ვერსის მანძილი ისე იყო განათებული, რომ თამამად წიგნის კითხვა შეიძლებოდა. წარმოიდგინე, მკითხველო, ცეცხლ-მოდებული პატარა, მჭიდროდ გაშენებული დაბა, ხის სახლებით და ყავრით დახურული, რამდენიმე დღის დარის გამო სრულებით გამომშრალი, თან დაუმატე ძლიერი ქარი და მაშინ დარწმუნდები, რომ სურათი მართლა ჯოჯოხეთური იქნებოდა. ჩხარს არ აქვს არამც თუ რაიმე ცეცხლის საქრობი მანქანა, არამედ ბლომად წყალიც კი არ ეშოვება ახლოს. ცეცხლი შუა ადგილას გაჩენილიყო და გადიწვა მხოლოდ ნახევარი დაბისა, საითაც ქარი ჰქროდა და ცეცხლი მიჰქონდა. მეორე ნახევარი კი გადარჩა. ზარალი მაინც დიდია: დაიწვა ოცდა ათამდე სავაჭრო, საქონლით სავსე დუქნები, თხუთმეტამდე კერძო საცხოვრებელი სახლი და მასვე მოჰყვა სოფლის სასამართლო კანცელარია, თავის საბუთებით. მცოდნე პირების სიტყვით, ზარალი ძალიან დიდია. საბედნიეროდ, ადამიანი არ დაღუპულა, დაშავდა კი ზოგიერთი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ნამდვილად არ იციან. კარგი იქნება, თუ ჩვენი გულკეთილი საზოგადოება დახმარებას აღმოუჩენს დაზარალებულთ.

◆ გუმბრის ქალაქის თავმა დეპეშით შეატყობინა ტფილისის ქალაქის თავს, რომ გუმბრის საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება **კავკასიის ქალაქების თვითმმართველობათა წარმომადგენლების კრების შესახებ** და სთხოვა, რომ ინიციატივა ამ საქმისა მას ეკისრა. ამ საერთო კრების საგანი იქნება კავკასიის ქალაქების თვითმმართველობათა საჭიროებანი და აგრეთვე ისეთ მოვლენათა განხილვა, რომელთაც ბაქოს საშინელებანი გამოიწვიეს.

◆ რუსეთის საზღვაო საზოგადოება აცხადებს: რადგან ჯერ კიდევ **არ არის მუშაობა ბათუმისა და ფოთის ნავთსადგურებში,** დროებით მიქმედება შეჩერებულია.

◆ როგორც ხოლერის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის ცნობებიდანა სჩანს, განჯის გუბერნიაში ამ ცოტა ხანში **ხოლერით ავად გამხდარა ხუთი კაცი.**

◆ **ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში,** როგორც გადმოგვცემენ, ა საქმეები. მიწათ-მოქმედე- რწმუნებულმა მიანდო აგ- ნ. ტიმოფეევს, წავიდეს ქუ- ამოარკვიოს მიზეზები სამზრუნ- ოს და მმართველის შორის ა, რასაც შედეგად სასწავლე- ეითება მოჰყვა. ბ-ნი ტიმოფეევი მიემგზავრება ქუთაისში.

ამ ლისის **ფოსტა-ტელეგრაფის კან-** ეროსი ბლინოვი გადაყვანილ იქნა

ვ."-ში შემდეგი **ოფიციალური** დაბეჭდილი: „22 თებერვალს, დი- ევანში, ქუჩებში მაჰმადიანნი ირეო- როლა დაიწყეს და ამ დროს დაშავდა ამავალი ორი რუსი: სათადარიგო კაცი და დათხოვნილი დარაჯი. რად- როლა არ ისპობოდა, სალდათთა რაზმმა ბი გაისროლა. მოკლულ იქმნა ერთი იანი. ერთ ვიწრო ქუჩაში ნახეს უცნობ ელის გვამი. იმავე დღეს სომეხთა და დიანთა სამღვდელოებამ, მოხელეების დასწრებით, გადაიხადეს ეკკლესიასა და თში პანაშვიდები მოკლულთა სულის მოსახსნელად. შემდეგ სამღვდელოებამ სიტყვით მიჰმართა ხალხს და დაარიგა. მერე სამღვდელოებამ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და საპატიო მოქალაქეებმა მთელი ქალაქი მოიარეს. ვაჭრობა განახლდა".

◆ უსახელო საზოგადოება შეუდგა **ელექტრონის ტრამვაის დიდუბის შტოს** გაყვანას. შტო გაივლის ელისაბედის ქუჩაზე.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაავალა თავის წარმომადგენელთ კახეთში ზარაფიშვილს, ვერმიშევს და დანდუროვს, გამართონ **ვაზის სამკურნალოს წამლების საწყობები.**

◆ 22 თებერვალს სენაკის მახლობლად სენაკიდან ზუგდიდს მიმავალ **ფოსტას თავს დაეცა** თორმეტი შეიარაღებული კაცი. თავდამსხმელნი გზის მახლობლად ჩასაფრებულან და სროლა დაუწყიათ. სროლითვე გაუციათ პასუხი ფოსტალიონს და სამ დარაჯს. ამათ ერთი კაცი მოუკლავთ. ფოსტა უვნებელი გადარჩენილა, მხოლოდ ერთი ცხენი მომკვდარა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 24 თებერვალს მოისმინა მოხსენება ბელგიის უსახელო საზოგადოებისა. საზოგადოება სწერს: ქუჩების დროზე მოკირწყვლის საქმეს აფერხებს **ფოთში მუშათა გაფიცვა,** რადგან გემების გადამტვირთავი არავინ არისო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: უსახელო საზოგადოების მიერ ხელ-შეკრულების დარღვევის გამო პასუხის მგებლობაზე თათბირი გადაიდოს შემდეგ დროსათვის, ხოლო ეხლა აცნობოს საზოგადოებას, რომ მის მიერ აღნიშნული მიზეზები საკმაოდ არ მიაჩნია.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ბაქოდან წასულა ათას ორასი **რუსი მუშა.**

◆ ტფილისის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ხორცისა და პურის ნიხრის გაწესება, 24 თებერვალს განიხილა განცხადება მეპურეებისა, რომელნიც თხოულობდნენ ნიხრის მომატებას. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს აგენტის ბაბოვის ცნობებით, ტფილისში საკმაო ფქვილი შემოდის და ფასს არ აუწევიაო. კომისიამ ამის გამო უარ-ჰყო მეპურეთა განცხადება და შეუცვლელად დასტოვა არსებული ნიხრი.

◆ გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის სამკურნალოს სადგომში მუხრანსკის ქუჩაზე შემდეგი ამბავი მოხდა: სამკურნალოში რაღაც საქმისათვის (ალბად, საექიმოდ) მოსულა ტფილისის მცხოვრები გასათხოვარი ქალი ირინე ლატურინისა. ასე დილის 10½ საათზედ ლატურინთან მისულა ტფილისის მცხოვრები სტეფანე ელიზბარაშვილი, რომელიც როგორც თავის ნაცნობთან, მივიდა ქალთან და კარგახანს რაღაცას ელაპარაკებოდა. კაცმა ქალი სამკურნალოს დარბაზიდან გაიყვანა და როცა ჩავიდა კიბეებზედ, ქუჩაში გასასვლელ კარების წინ გაჩერდა. კაცს რაღაც განზრახვით უძერია ბებუთი. ქალი მოჰყოლია წივილ-კივილს. ელიზბარაშვილი წამოსწევია და ბებუთით დაუჭრია ზურგსა, მკლავსა, გულსა და სხვაგან. ხმაურობასა და ქალის წივილ-კივილზედ ხალხმა მალე თავი შეიყარა, სამკურნალოდანაც ჩაეშველნენ და, როგორც იყო, კაცს ხელიდან გამოაცალეს საბრალო ქალი, რომელსაც იგი დაუზოგავად სცემდა ბებუთს. ელიზბარაშვილი იქვე დაიჭირეს და პოლიციაში გაჰგზავნეს. სისხლში მოსვრილი ქალი სამკურნალოში აიყვანეს, ჭრილობები გაუბანეს, შეუხვიეს და შემდეგ ეტლით მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. როგორც ამბობენ, ელიზბარაშვილს ქალი ჰყვარებია, და რადგან მითხოვებაზე უარი მიუღია, გადაუწყვეტია მისი მოკვლა.

◆ სად. ძირულა. 23 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და 35 წ. მიმავალ მატარებელზე უნდოდა შეხტომა დაბა ყვირილის მცხოვრებს ეფრემ კვაჭაძეს, ამ დროს აუცდა ფეხი, ვაგონებს ქვეშ მოჰყვა და დაშავდა.

◆ სად. ბაქო. 23 თებერვალს, დილის 8 საათზე, მანევრების დროს ოთხი ვაგონი დაიმტვრა.

◆ სად. კუროკჩაი. 23 თებერვალს მე-495 ვერსზე, როდესაც ალი-ნაგი-ფატალი-ოღლი ლიანდაგს გადადიოდა, დაეწია მატარებელი № 840 და გასრისა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

სამტრედია, 24 თებერვალი. ხმა დადის, რომ ამ ცოტა ხანში ის ჯარი, რომელიც ბათუმ-ფოთსა, სამტრედიასა და სხვა სადგურებზეა, უკანვე დაბრუნდებაო.

ბათუმი, 24 თებერვალი. ქალაქში მშვიდობიანობაა. მანთაშოვის ქარხანა მუშაობს, როთშილდის არა.

ერივანი. 24 თებერვალი. დღეს სრული მშვიდობიანობაა ქალაქში. მაღაზიები ღიაა, ეტლები დადიან. ქალაქში ჩვეულებრივი ცხოვრებაა.

წერილი რედაქციის მიმართ

I

უფალო რედაქტორო!

ჩვენ, სომეხთ არქიმანდრიტთა კრებას არ შეგვიძლიან გულითადი და ღრმა მადლობა არ გადაგიხადოთ იმ მხურვალე გრძნობისა და ძმობისათვის, რომელსაც მუდამ უჩვენებდით კავკასიის შვილებს, და რომელიც დაგვიმტკიცეთ ჩვენის მწუხარებისა და ცრემლის დროს, ბაქოში მომხდარ უბედურების გამო. დავვერწმუნეთ, მაგ თანაგრძნობამ უმეტესად გაალვივა ჩვენს გულში ორი ათასის წლის ძმობა და სიყვარული, რომლის გაქრობას ბევრნი ბევრჯელ ცდილან ჩვენს წარსულსა და ახალს ცხოვრებაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ საუკუნოდ განვლო უგუნურმა და ბნელმა დროებამ, და დიდი ხანია დაწყნდა ის წყალი, რომლის ამღვრევა მუდამ სანატრელი და საჭირო იყო მეთევზისათვის. მართალია, ახლაც აამღვრიეს მეთევზეებმა ეგ წყალი კასპიის ნაპირებში, მაგრამ ნათქვამია: „ვიდრე წყალი არ აიმღვრეს, იგი არ დაწყნდებაო". იმედი გვაქვს, რომ ეგ უკანასკნელი ამღვრევა იყო ჩვენის სამშობლო ქვეყნის ძალ-ღონითა და სიბნელით დაჭაობებულის წყლისა და იგი საბოლოოთ დაწყნდება ჩვენდა და ჩვენის სამშობლოს სასიხარულოდ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბაქოში უბრალოდ ამოჟლეტილ და აკუწულ ბავშვების სისხლი გაგვიტკეცს და დამწვარ უმანკო პირების ალი გაგვინათებს იმ გზას, რომელსაც ძმობა და ერთობა ეწოდება სახელად. გულითად მადლობას გიძღვნით ძმურის გრძნობისა და ცრემლისათვის. ჩვენ მწუხარების ცრემლთან სიხარულის ცრემლები გადმოგვცვივდა თვალთაგან და გულმა მხურვალედ ამიგვიძგოლა სანატრელი ძმობის ნახვით. „გიყვარდეს ერთმანეთი"-ო,—ამას გვავალებდა უფალი, მაგრამ ჩვენ, რომელნიც ბუნებამ და ბედმა შეგვაერთა, არამც თუ მხოლოდ სიყვარული გვევალება, არამედ თავ-განწირულება ერთმანეთისა და მამულისათვის. ვფიცავთ უბრალოდ დაღვრილს უმანკო სისხლს, რომ ძმობა და ერთგულება იქმნება ჩვენის შრომისა და ქადაგების მიზანი და ვეცდებით, რომ ვერა ბნელმა ძალამ ვერ შესძლოს მისი დარღვევა.

ვინ უფრო მალე იგრძნო ეს საჭიროება და ვალდებულება? ჩვენმა ახალმა შთამომავლობამ, ნორჩმა მოსწავლე პირებმა და მამულის უმანკო შვილებმა. ვილოცავთ, რომ უფალმან აღზარდოს უვნებლად ეგ ჩვენზე ბედნიერი შთამომავლობა, უვნებლად დაიცვას მათი მხურვალე გული, არ მოაკლოს ძმობა და ერთგულება და უყვაროს მათ ჩვენს დროს სისხლით მორწყული მარგალიტივით სამშობლო მამული.

„არარატ"-ის რედაქტორი არქიმანდრიტი ელისე, არქიმანდრიტი გრიგოლი, არქიმანდრიტი არსენი, არქიმანდრიტი გელამი, არქიმანდრიტი ბაბკენი.

II

ბ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ, მცირე ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩვენს შენიშვნას, რომელიც გამოიწვია ბ. კალმას წერილმა— „დასაწყისი წერილისა ბ. თ. ჟორდანია საკუთარ თავის წინაშე"—მოთავსებულმა გაზ. „ცნობის ფურცელის" 15 ამა თებერვლის თარიღით № 2744-ში.

ამ წერილში ბ. კალმა იხსენებს საქციელს ბ. თ. ჟორდანიასას შესახებ ქართული ენის ვითარებისა გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლებში და, სხვათა შორის, ამბობს:

„პატივცემული ეპისკოპოსის წერილი, რასაკვირველია, სარწმუნო საბუთი იყო ბ. ჟორდანიას წინააღმდეგ, მაგრამ იგი გარკვევით არ ეხებოდა საგანს, არ არკვევდა სავსებით ბ. ჟორდანიას ვინაობას. უკანასკნელი მაინც თავისას გაიძახოდა,—ცილს მწამებენო; სარგებლობდა იმით, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ დასახელებულმა მოწმეებმა ვერ გამოიჩინეს მოქალაქობრივი სიმამაცე და ხმას არ იღებდნენ". ბოლოს იგივე ბ. კალმა დასძენს: „ამ წერილის დასასრულ კი მივმართავ ბბ. ნიკოლაძეს, ფანცხავას და მიქაბერიძეს, მათი ზნეობრივი მოვალეობაა, ახლა მაინც ამოიღონ ხმა ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაცველად".

ქვემორე ამისა ხელის მომწერლებმა ზნეობრივი და მოქალაქობრივი მოვალეობა მაშინვე შევასრულეთ, რომ მაშინ, როცა შეხუთული იყო ჰაერი და ფიქრშიაც არ იყო გასატარებელი ის აზრი, რომ დადგებოდა ოდესმე „დღე განკითხვისა და დღე გასამართლებისა", თამამად გამოვესარჩლეთ ქართულ ენას სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, ჯერ საეპარქიო სამრევლო საბჭოში, როცა ჩვენ იქ წევრებად გახლდით, მერმე იმ ნადიმზე, რომელიც ფოთის ქალაქის თავმა გაუმართა საქართველოს ექსარხოსს 1903 წელს აპრილის 25-ს, და რომელზედაც პირდაპირ, დიდი საზოგადოების წინ განვუმარტეთ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ალექსის მნიშვნელობა ქართული ენისა მეგრელთათვის და ისიც, თუ რა სავნებო შედეგი მოჰყვებოდა ქართულის ენის გამოძევებას სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდამ. ეს იყო ჩვენი უმთავრესი მოვალეობა, კარგად ვიცოდით მაშინ, რა მტრობას აგვიტეხდა ეს მოვალეობის შესრულება, და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენ მისთვის არავინ და. გვიმადლებდა. მერმე კიდევ, როცა ბ. თ. ჟორდანიამ იმდენი გაბედულება გამოიჩინა, რომ აღბეჭდა თავისი ცნობილი მანიფესტი გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე, 1903 წ. ოქტომბრის 12-ს დღის № 318-ში, ერთმა ჩვენთაგანმა, სახელდობრ ი. ფანცხავამ, „ივერიის" რედაქციასვე მიმართა წერილით, რათა თ. ჟორდანიას მანიფესტის მნიშვნელობა გაეწბილებინა. მაგრამ ეს წერილი, რომელიც ფოთიდან გამოიგზავნა იმავე წლის 16 ოქტომბერს, ვერ ეღირსა სინათლეს მაშინდელი „ივერიის" გამგეს წყალობით. შემდეგ, როცა ღრმად პატივცემულის მხცოვანის ალექსანდრე ეპისკოპოსის აღშფოთებული წერილი დაისტამბა გაზ. „ივერიაშივე", 10 დეკემბერს 1903 წ., და ეს წერილი „ცნობის ფურცელშიც" გადასტამბა, იმავე ი. ფანცხავამ მიმართა 12 დეკემბერსვე თქვენ პატივცემულ გაზეთს იმავე თხოვნით, მაგრამ არც აქ გაჭრა,*) და ჩვენი მხრით ვეღარსად ვეღარ დაიბეჭდებოდა ვერავითარიმე შენიშვნა. ეს იყო მაშინ. ეს გახლავთ საქმის ნამდვილი ვითარება. ახლა-კი, როცა დრონი იცვალნენ, ჩვენვე გვიკითხავენ ლექციებს საზოგადო სამსახურისა და ზნეობრივი მოვალეობისას, თუ მოქალაქობრიობისას!

ერთიც აღსანიშნავია ჩვენი საზოგადოების დასახასიათებლად. სამოცი წელიწადია, რაც ალექსანდრე ეპისკოპოსი ემსახურება საქართველოს, და როცა ეს მარადის ღვთისნიერი მშვიდობის მქონე პირიც კი აღაშფოთა ცილის წამებამ თ. ჟორდანიასამ, მას, ალექსანდრე ეპისკოპოსს-კი არ დაუჯერეს, ბ. თ. ჟორდანიას კერძო ჩუმ-ჩუმი მითქმა-მოთქმა იწამეს! ამას თვით ბ. კალმა არწმუნებს:

„მე პირადათ მინახავს რამდენიმე ახალგაზრდა, რომელნიც წინად ცუდის თვალით უყურებდნენ ბ. ჟორდანიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ. ჟორდანია მთელ სამ საათს უმტკიცებდა მათ თავის სიმართლეს, სრულიად შეიცვალეს აზრი მის შესახებ".

აი, ეს გახლავს ჩვენი უბედურება, ჩვენი სიგლახაკის მიზეზიც: ადამიანზე აზრს და მსჯელობას იღებენ არა მისი მოქმედებისა და მის წარსულის განკითხვით, მარტო მისი სიტყვების მოსმენით. ახლაც, ბ. თ. ჟორდანიას თავის ანგარიშში საკუთარი სიტყვებით რომ არ ეწერა, თუ როგორი მონაწილეობა მიიღო ქართული ენის გამოდევნაში სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან, არავინ მიაქცევდა ყურადღებას იმ არსებით კითხვას, თუ ვინ დაისაჯა და ვინ დაჯილდოვდა ამ საქმის გულისთვის? ეს ვის ეკითხება ჩვენში?.. აქ უოველთვის ასეა: ყურში მოჩურჩულეთ უფრო უჯერიან, ვიდრე მხნეთ საქვეყნოთ მომქმედთ და მოქმედთ.

ქ. ფოთი, 17 თებერვალი 1905 წ.

თქვენი მორჩილნი: **ნ. ნიკოლაძე, კ. მიქაბერიძე, ი. ფანცხავა.**

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სცენის მოყვარეთ განუზრახავთ წარმოდგენა გამართონ 14 თებერვალს ქუთაისში მოკლულ და დაშავებულ პირთა ოჯახების სასარგებლოდ. წარმოდგენა გაიმართება დიდ მარხვის მეორე კვირაში. ერთს მოკლულთაგანს, ხარაზს ხაბურზანიას, წვრილი ცოლშვილი დარჩენია სრულიად უპატრონოდ.

◆ ამ დღეებში თითფერასეულ ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 14 თებერვალს მძიმედ დაშავებული მელკონ ერისთავი. [illegible] რუსებს გაუტეხიათ მისი ღვინის საწყობი, შეკარდნილან შიგ, წაუქცევიათ მიწაზე, გაუჩხრეკიათ და უცემიათ შემდეგ წასულან. ამას ამტკიცებს უბნის ზედამხედველი ნაჩავა. ერისთავის მორჩენა საეჭვოა: მუცელი გასიებია და პირიდან სისხლი სდის.

◆ 14 თებერვალს ქუთაისში მომხდარ უბედურებით თურმე სარგებლობენ ვიღაც უსინიდისო პირები და ფულს ჰკრებენ ვაჭრებში, ვითომც დაშავებულების სასარგებლოდ; ნამდვილად-კი ამ ფულს თურმე თავის ჯიბეში იდებენ. ერთი ასეთი გათახსირებული ვაჟბატონი 22 თებერვალს შეუპყრია პოლიციას.

რუსეთის ქრონიკა

„შავი რაზმები". როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსეთის ბევრ ქალაქში შემდგარია ეგრედ წოდებული „შავი რაზმები", რომელნიც სცემენ და აწიოკებენ ინტელიგენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. პოლიცია, იმის მაგიერ, რომ წეს-რიგი დაიცვას და ბოროტ-მოქმედები დასაჯოს, ხელს უწყობს და აქეზებს.

ყაზანში 6 თებერვალს საშინლად უცემიათ სტუდენტებისათვის და პოლიციას არავითარი ღონისძიება არ მიუღია, თუმცა ყველაფერი მის თვალ-წინ ხდებოდა. („რუს").

ყაზანზე უარესი ამბები კურსკში დატრიალებულა 12 თებერვალს.

როგორც სხვაგან, კურსკშიაც გაფიცულან საშუალო სკოლების მოსწავლენი. პირველად გამოსულან სასწავლებლიდან კლასიკურ გიმნაზიის მოწაფენი და გაუვლიათ ქუჩები; კლასებს შეუერთდნენ სხვა მოსწავლენიც. მოსწავლეთ პოლიცია უკან მიჰყვებოდა, მაგრამ არას ამბობდა. ერთბაშად გაისმა სტვენა და ბრძანება პოლიცმეისტერისა—ჰკა მაგასო და პოლიციელები მისცვივნენ ხმლებით ბავშვებს; პოლიციელებს მიჰყვნენ „სტრაჟნიკების" სკოლის მოსწავლენი (კურსკში, პოლიციის სამმართველოსთან საგანგებო სკოლაა დაარსებული, სადაც „სტრაჟნიკებს სწრთვნიან") და ასტყდა საშინელი ცემა-ტყეპა. ბოქაული პუზანოვი სულ გაჰკიოდა—სცემეთ, სცემეთო. სცემდნენ ცხვირ-პირში და ყველგან, სადაც მოხვდებოდათ; როცა ბავშვი წაიქცეოდა, თვით წამოაყენებდნენ და ისევ სცემდნენ, სანამ არ წაიქცეოდა. დიდძალი მოსწავლეა დაშავებული, დასახიჩრებული და დაჭრილი; ზოგი სასიკვდილოთ არის ნაცემი. მიჰმართეს ჟანდარმის პოლკოვნიკს, რომელიც უცქეროდა ამ საშინელებს, და სთხოვეს მისი შეწყვეტა, მაგრამ თითიც არ გაუნძრევია.

დრამის უკანასკნელი აქტი „წითელ მოედანზე" დასრულდა: აქ პოლიციას მოეხმარენ წინადვე განზრახული ყასბები, მედუქნეები და ბაზრის ხალხი: მასწავლებს თუ სადმე დაინახავდნენ, უწყალოდ სცემდნენ; სხვათა შორის, სასიკვდილოდ სცემეს ერთ მიწის მზომელსა და სტუდენტს, რომელიც, როგორც ამბობენ, უკვე მკვდარი უნდა იყოს... სახაზინო პალატის მდივანმა მიჰმართა ბოქაულ პუზანოვს, რომ შეეწყვიტა ეს საშინელება. პუზანოვმა შემდეგი უპასუხა: „ხომ ხედავთ, რომ პოლიცია კი არ სცემს, თვითონ ხალხი გამოსულა მეფის დასაცველად; შენ კი, გეტყობა, გაპონის მომხრე ხარ!" და დაუწყო ცემა მდივანს... არავითარი ეჭვი არ არის, რომ „შავი რაზმები" პოლიციის შედგენილი და დარიგებული იყო. როცა საღამოს „რაზმები" დაიშალნენ და სახლისაკენ მიდიოდნენ, ამბობდნენ—„ნეტავი ხვალაც ასეთი მუშაობა გვექნებოდეს: არაყიც დაგვალევინეს და თითო მანეთიც მოგვცესო". ბევრმა გაიგონა ბოქაულ ალექსეევის სიტყვები: „გმადლობთ, ძმებო! ბაზარმა კარგი სამსახური გაგვიწია."

იმავ საღამოს აღშფოთებული საზოგადოება შეიკრიბა საბჭოსა და კლუბის დარბაზში. აქ მოისმინეს თვალით მნახველების ჩვენებანი და მიიღეს რამდენიმე რეზოლიუცია. დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე ერთ პატივცემულ მოხუცის სიტყვებს: რკინის გზის სამმართველოში ვმსახურებ; პირველი საათი არ იქნებოდა შესრულებული, რომ გავიგეთ მოსწავლეებს სცემენო. გულგახეთქილები გამოვარდით ჩვენის შვილების საძებრად. საშინელი ამბები ვნახე; ვნახე როგორ უმტვრევდნენ ცხვირ-პირს სულ პატარა მოსწავლეთ (10, 11 და 12 წლისას), წაქცეულებს ფეხით სთელავდნენ, თმას აგლეჯდნენ... შვილი მხოლოდ მაშინ ვნახე, როცა სახლში დავბრუნდი—დასისხლიანებული იყო, ნაცემი, შეიძლება სამუდამოდ დასახიჩრებულიც... ბატონებო ერთი ჩემი შვილი შორე აღმოსავლეთში ღვრის სისხლს სამშობლოსათვის; მეორე შვილის სისხლს კი პოლიცია ღვრის ამავე სამშობლოში..." მოხუცს ისტერიული ტირილი წასკდა და წაიქცეოდა, რომ არ მიშველებოდნენ.

საზოგადოებამ დეპეშით საჩივარი გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს. კლუბის წევრებმა გადასწყვიტეს საზოგადო კრების მოწვევა, რომ წევრების სიიდან ამოშალონ ჟანდარმის პოლკოვნიკი ველკი, პოლიცმეისტერი ზარინი, მისი თანაშემწე მაკარეევიჩი და ბოქაულები—ბაიკოვი და პუზანოვი.

ნაშუაღამევის ორ საათზე კლუბში მისულა ჟანდარმის პოლკოვნიკი ველკი. ერთი ნაცნობი შეხვდა ზალაში და უთხრა: —„მომილოცავს პოლკოვნიკო,"—„რა უნდა მომილოცოთ"?—კლუბიდან დათხოვნა. პოლკოვნიკს ფერი ეცვალა, ხმა ამოუღებლად გაბრუნდა და სახლში წავიდა.

სასამართლო

არამიანცის საქმე

გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მდიდარ მოქალაქის მიხეილ არამიანცისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. სასამართლოს დარბაზს დიდძალი საზოგადოება მიაწყდა. რადგან ადგილი ცოტა იყო, ერთი კვირის წინად ვინც მოასწრო, ბილეთები აიღო საქმის გარჩევის დროს დასასწრებლად. ბევრი უადგილობისა გამო უკანვე დაბრუნდა. ბრალდებულის დამცველად გამოვიდა პეტერბურგელი ვექილი მირონოვი.

1904 წლის 26 მაისს ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში მ. არამიანცი ბანქოს თამაშობდა პოლკოვნიკ განჩაროვსა, შტაბ-კაპიტან შურინოვსა და ალექსანდრე ციტოხცევთან. ასე 1 საათი იქნებოდა, დარბაზში შევიდა ტფილისი

---

*) ჩვენი რედაქცია მაშინ არავითარ წერილებს არა ჰბეჭდავდა „ივერიაში" დაბეჭდილ წერილების საპასუხოდ. რედ.

მცხოვრები გრიგოლ განჯუმოვი, რომელიც მივიდა არამიანცთან და ამ სიტყვით—რატომ პასუხს არ იძლევიო, სტაცა თავში ხელი, გადასწია თავისკენ და დაუწყო სახეზე სტამბის შავისა და სქელ ლაქის სმა. ლაქა არამიანცს წებოსავით მოედო ასეთის უეცარისა და უცნაურის საქციელით შეშფოთებული არამიანცი წამოვარდა და ეცა განჯუმოვს. მალევე იქ მყოფთ გააშველეს, ამის შემდეგ განჯუმოვი წავიდა იქვე სამკითხველოსაკენ, ხოლო არამიანცმა იძრო ჯიბიდან რევოლვერი და ესროლა განჯუმოვს, რომელსაც შემთხვევით ასცდა ტყვია, გადურბინა თავზე და კედელს მოხვდა. ჩვენების ჩამორთმევის დროს მოწმეებს ყალანთაროვს, განჩაროვს და ციტოხცევს უჩვენებიათ, განჯუმოვმა არამიანცს შეურაცხება მიაყენა იმის გამო, რომ განჯუმოვს რაღაც ფულის ანგარიშები ჰქონია არამიანცთან. ამ უკანასკნელს განჯუმოვის მოთხოვნილება არამც თუ არ დაუკმაყოფილებია, პასუხიც არ მიუციაო. არამიანცს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, რევოლვერი გავისროლე ანგარიშ მიუცემლად, აღშფოთების დროს, რადგან მეტად დიდი შეურაცხება მომაყენა განჯუმოვმაო.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო მ. ი. არამიანცი განჯუმოვის მოკვლის განზრახვის ჩადენაში და გარდმუწყვიტა პატიმართა გამასწორებელ რაზმში 8 თვით გაგზავნა. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა რომ სასჯელი 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრებად შეეცვალოს.

---

22 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ს. ავჭალის მცხოვრების აბრამ ბედოშვილისა, რომელსაც თავის მეზობლის გაძარცვა და მოკვლა ჰბრალდებოდა. სასამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბედოშვილს მიესაჯა კატორგაში გაგზავნით 10 წლით.

წერილები

ბალადიდი. 1903 და 1904 წლები ჩვენთვის დიდ-ხანს ავადმოსაგონებელი იქნება. ამ ორის წლის განმავლობაში ეკონომიურად წელში გასწყდა ეს კუთხე. მოსავალი არ მოვიდა, ასე რომ წარსული 1904 წელი მაინც ნამდვილ შიმშილობის წელიწადი იყო. მოუსავლობას ზედ ისიც დაერთო, რომ მუშა ხელი გაძვირდა და ერთად-ერთი ფულის საშოვარი წყარო—ხე-ტყის დამუშავება—მეტად დაბრკოლდა. ამ უკანასკნელ დროს ხომ სულ მთლად შესწყდა და იმის მუშაც არ იშოვება, რომ რაც დამზადებული მასალა არის, ის მაინც მიიტანოს და ჩატვირთოს ვაგონები. ზამთარმაც პირი შეირცხვინა წელს. ამ გაჭირვების დროს მძიმე ზამთარი დაგვიდგა, ასე რომ, თუ ვინმეს ორიოდე მარცვალი სიმინდი მოეპოვებოდა, წისქვილთან მისასვლელი გზაც არ იყო, ისე შეჰკრა და შებოჭა ზამთარმა.

ყველაზე მეტად იმან შეგვაწუხა, რომ საქონლის საკვები არა გვქონდა. თუ სადმე ათასში ერთხელ ვიშოვიდით სასყიდლად, წინად რომ კონა თითო კაპეიკად იყიდებოდა, ეხლა მაურ ნაკლემ კაცის ფეხს არ უცვლიდა. საერთოდ დიდი გაჭირვება გამოვცადეთ და ვცდით დღესაც...

მადლობა ღმერთს, გაზაფხულის სუნი მოგვედინა და წელში გავიშალენით, მაგრამ ვშიშობთ, ისევ არ წამოუშინოს ვინ იცის, მარტი ძნელი სანდობია და ვაი თუ ჩვეულებრივა თავი მოიგიჟიანოს.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

23 თებერვალი

ტოკიო. ოფიციალური ცნობებით იაპონელებს დაუჭერიათ ჯერ პიშიაიტუ, მერმე ხაიენი. შახეს მხარეს, რკინის გზის აღმოსავლეთით, დილის 3 საათზე, 22 თებერვალს, რუსებმა იერიში მოიტანეს მაღლობზე, ტუნცზიატუნის ჩრდილოეთით, მაგრამ მოვიგერიეთ; რუსებმა დაჰკარგეს 30 მოკლული. რუსის რაზმმა კიდევ მოიტანა იერიში დილის ხუთის ნახევარ საათზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა. 22 თებერვალს იაპონელებმა დილით დაიჭირეს ხანშინპუ. რუსებმა მოინდომეს წაერთმიათ ხანშინპუ, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირას რუსები ამყარებენ მაშველ ჯარს იანსინტუნთან, მუკდენიდან 7 მილის მანძილზე. სოფ. ლიხუანპუნის ორი მესამედი ნაწილი დაიჭირეს იაპონელებმა. რუსების კონტრ-იერიში მოგერებულ იქნა.

გენ. კუროკის არმია. იაპონელებმა მიაღწიეს პოზიციებს მუკდენიდან ორის მილის მანძილზე და საშინლად უშენენ ზარბაზნებს ქალაქს. რუსები თავს იფარავენ. გუშინ და გუშინწინ ხელჩართული ბრძოლა იყო მთელ ფრონტზე, ვაიტოშანის აღმოსავლეთით. რუსები ზარბაზნებს ესვრიან იაპონიის ტრანშეებს. დღეს დროებით სიწყნარე ჩამოვარდა. რუსებს დიდი ზარალი უნდა ჰქონდეთ, რამდენადაც ეს ჩანს დაჭრილებით სავსე ურმებსა და საკაცეებიდან.

ტოკიო, 23 თებერვალი (რეიტერი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ რუსებმა შახედან უკან დახევა იწყეს გუშინ დილით.

მუკდენი, 23 თებერვალი. ჩრდილო-დასავლეთიდან განუწყვეტელი სროლაა ზარბაზნებისა. მუკდენის შენობების კედლები ინძრევა. ბრძოლა საიმპერატორო სასაფლაოებთანაა. თბილი გაზაფხულის დარია.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება ნოქართა აუტანელ მდგომარეობას, რომელთათვის კვირა-უქმეც არ არსებობს და შეიმუშავა შემდეგი კანონ-პროექტი: 1. მინიმალური დრო დასასვენებლად დღით მუშაობის შემდეგ, შეწყვეტა მუშაობისა სადილის დროს, დასვენება კვირასა და საუფლო დღესასწაულებზე, რამდენიმე საათით ვაჭრობის ნება ექნება კვირა-უქმეებში მხოლოდ იმათ, ვინც საზრდო-სანოვაგით ვაჭრობს. 1. ვალდებული არიან ადები გაანთავისუფლონ მცირე წლოვანნი 15 წლისაზე ნაკლები ყმაწვილები, საქმის დღეს 2 საათით, სკოლაში სასიარულოდ. 3. სავაჭრო დაწესებულებების გაღება-დახურვისა და სასადილოდ დასასვენებელი დროს დაწესება მიენდოს ქალაქებსა და ერობათ, სადაც ერობა არაა, იქ საგუბერნიო სათავო მმართველობას ვაჭრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების თანახმად და 4, განიმარტოს, რა სასჯელი გადაუწყდეთ სავაჭროების გაღებისა და დაკეტვის წესების დარღვევისთვის. შემუშავებული კანონ-პროექტი, ჰფიქრობენ, განიხილონ დაწესებულებათა, საბირჟო კომიტეტთა და ნოქართა საზოგადოებების წარმომადგენელთა რჩევის დროს; თავმჯდომარედ მინისტრის ამხანაგი იქნება.

პეტერბურგი, 23 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში ხელი მოაწერეს ახალს რუსეთ-ბულგართა სავაჭრო ხელშეკრულობას. რუსეთის მხრივ იყო გარეშე საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი გრაფი ლამზდორფი და სტატს-სეკრეტარი ვიტტე, ბულგარეთის მხრივ, სამთავროს დიპლომატიური აგენტი პეტერბურგში მინისტრი სტოიჩევი და პროფესორი სოფიის უნივერსიტეტისა ზოევი.

„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“

24 თებერვალი.

ტოკიო. ოფიციალურად. რუსების უკან დახევა 23 თებერვალს დილით დაიწყო, იაპონელები გამწვავებით სდევნიან რუსებს.

ტოკიო. 23 თებერვალი. რუსები მუკდენთან იყრიან თავს. ჰფიქრობენ, თუ მოულოდნელი რამ არ მოხდა, რუსები ვერ მოახერხებენ უშიშრად ჩრდილოეთისაკენ წასვლასაო. იაპონელთა მარცხენა ფრთა წინ მიდის სამილლეებზე მუკდენიდან 5 მილის მანძილზე დასავლეთით. იაპონელები რკინის გზასაც უახლოვდებიან. იაპონელთა მარჯვენა ფრთამ დღეს რუსის მარცხენა ფრთა დაამარცხა და ამ ჟამად ჩრდილოეთისაკენ სდევნის. იაპონიაში ჰფიქრობენ, ბრძოლას საბოლოო შედეგი მოჰყვებაო.

სინმინტინი. ხუნხუზებმა ორი რუსი დაიჭირეს ჩინელებად გადაცმული და სიკვდილით დასაჯეს. ხუნხუზებს იაპონელთა ბაირაღები აქვთ. რამდენიმე ასი ხუნხუზი ქალაქში დადის.

ვლადივოსტოკი. მთავარ-სარდალმა ბძანება გასცა, რომ ვლადივოსტოკში ყველა მეზღვაური და ხმელეთის ჯარი ციხის უფროსს ემორჩილებოდეს. ყველაფრის ფასი მატულობს. ვაჭრებს ერთის კვირის ვადა მისცეს, რომ ფასები მოაწესრიგონ და ამით სასტიკი ღონისძიება აიცილონ თავიდან. ქალაქში სიწყნარეა. ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

ვლადივოსტოკი. ციხის უფროსმა აკრძალა ვლადივოსტოკიდან გატანა საფაბრიკო და შენობის მასალისა, ბაკალეისა, მანუფაქტურისა და სააფთეკო საქონლისა, საკვებ სურსათისა, ცხენებისა და ცხენის საკვებისა.

პარიზი, 23 თებერვალი. რუსეთის მთელმა ესკადრამ მადაგასკარის ზღვა მიატოვა და ჯიბუტისაკენ გაემართა.

ტოკიო. ოიამამ ბრძანება გასცა მისდიონ რუსებს და ამასთან აუკრძალა იაპონიის ჯარს ძლომათ თავი მოყრა მუკდენში; მას სურს ხელ-უხლებლათ შეინახოს მანჯურიის დინასტიის აკვანი და დაიცვას მცხოვრებნი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენ.-ადიუტანტის კუროპატკინისა მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელზე ამა თებერვლის 23-დგან: 1. მდინარე ხუნხეს ჩვენს მარჯვენა ნაპირზე შევამჩნიეთ, რომ მტერი ილაშქრებს მუკდენისაკენ ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთითაც. ცენტრი და მარცხენა ფრთა ჩვენის ჯარების უბრძოლველად იხევენ გამაგრებულ პოზიციებზე ხუნხეს მარცხენა ნაპირას. ზემოთ მოყვანილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას.—2. დღეს მტერმა იერიში მოიტანა ჩვენზე ჩრდილოეთ ფრონტზე და დაახევინა უკან ჩვენს პატარა მოწინავე რაზმს სოფ. მაძიადან, 2 ვერსტის მანძილზე სოფ. ტაენოუნის ჩრდილო-დასავლეთით; ამასთანავე მოკლულ იქმნა რაზმის უფროსი, გამოჩენილი თვისი სიმამაცით, გიორგის ჯვრის კავალერია, საგენერლო შტაბის პოლკოვნიკი ზაპოლსკი. ამის შემდეგ კიდევ მოიტანა მტერმა რამდენიმე იერიში ჩვენს ჩრდილოეთ პოზიციებზე მუკდენთან, მაგრამ მოვიგერიეთ და მტერმა დიდი ზარალი ნახა. დასავლეთ ფრონტზე მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე სოფ. ნიუსინტუნთან, მაგრამ მოვიგერიეთ; ამ იერიშს მოყვა კონტრ-იერიში, რომლის დროს ჩვენმა ჯარებმა წამოიყვანეს ბევრი ტყვეები. დანარჩენ პოზიციებზე მთელი დღე არ ყოფილა შეტაკება. ზემოთ მოყვანილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას“.—გენ.-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 24 თებერვლის თარიღით: „ჩრდილოეთ ფრონტზე მტერმა ღამით მოიტანა რამდენიმე ძლიერი იერიში; იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ პოზიციებზე ღამე აშვიდი იყო.“

ვარშავა. „ვარშავსკი დნევნიკ“-ი იუწყებას 21 თებერვალს საღამოს პოლიციელს მიხნერს პოსტზე ოთხჯერ ესროლეს რევოლვერი და ფეხში დასჭრეს. ბოროტ-გამზრახველი დაიმალა.

პარიზი. ლონდონიდან ბულგარიის მთავარი ფერდინანდი სხვა სატახტო ქალაქებში წავა მაკედონიის საქმეზე მოსალაპარაკებლად.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა ორის გემით ჯარის გაგზავნას აპირებს იემენში, სადაც ქალ. სანა'ს მეციხოვნე ჯარს, რიცხვით 7 ათასს კაცს, მთლად წრე [illegible] 16 ათას აჯანყებულმა არაბმა. იემენში, ეტყობა სხვა მეციხოვნე რაზმებსაც მოჭრილი აქვთ ზღვის გზა. ჯარის უმეტესობა სირიელი არაბები არიან და თავიანთ თანამოძმეებს წინააღმდეგობას არ უწევენ.

სტამბოლი. ხილში-ფაშა იუწყება, 8 ათასი აჯანყებული ბოლგარი 2 მარტს მაკედონიაში შეჭრას აპირებსო.—ოსმალეთის მთავრობა უარყოფს იმ ხმას, ვითომ ინგლისის ელჩმა მაკედონიის რეფორმების ახალი პროგრამა ჩააბარა სულტანსაო.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მთავრობის მოთხოვნისამებრ გარდასწყვიტა გააძლიეროს საპიონერების ქვეითი ჯარი.—იმპერატორი ვილჰელმი გაემგზავრება ხმელეთა-შუა ზღვით 10 მარტს კუქსგაფენიდან,—იმპერატორი დაესწრო ვილჰელმსგაფენში ახალ-მეზღვაურების დაფიცებას; სიტყვა სთქვა და მოაგონა მათ მათი ვალი. შემდეგ იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა აფიცერთა საკრებულოში და მოაგონა აფიცრებს, საჭიროა პატივს სცემდეთ თქვენს ხელმწიფებს და სამშობლოსო. მან მიუთითა აფიცრებს შორეულ აღმოსავლეთის გმირების თავგანწირულ ბრძოლაზე და უთხრა, რომ მათი თავგანწირვა წასაბაძავ მაგალითად უნდა შეიქნეს ყოველი სალდათისთვისო.

პეტერბურგის ბირჟა 22 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,7½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,63
ბირჟის დისკონტი	5¼—6³³/₄%
4% სახელმწიფო რენტა	89⅞
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86⅛
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	394
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	325
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
4% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზისმა ტარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—1).

ნამდვილი კახური
ღვინოები

ივანე ლ.—ძე და იოსებ ზ.—ძე პაატაშვილებისა ბოთლი 15 კაპ., ვედრო 2 მ. 20 კაპ. და ძვირიც. ვაჭრობენ სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ ქვეშ, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (2—66—1)

ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, 1905 წელს, ყვირილის ამხანაგობის თეატრში დანიშნულია საზოგადო კრება. რადგან ეს კრება მეორეთ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს სხდომას. § 21.

კრებაზე განხილული იქნება შემდეგი კითხვები: 1) ანგარიშის დამტკიცება 1902 1904 წ.წ. 10 მაისამდის. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) გამგეობის მოხსენება ანგარიშის მდგომარეობაზე 4) მოხსენება მ. გაჩეჩილაძისა სახალხო წარმომდგენების გამართვის შესახებ. 5) მოხსენება. ვ. არდიშვილისა სახალხო კითხვების გამართვის შესახებ. 6) გამგეობის მოხსენება თეატრის ვალის დაფარვის შესახებ. 7) გამგეობის წევრთა არჩევა ნაცვლად ქ-ნ. ალ. ჭუმბურიძე-კვირიკაშვილისა, ივანე საყვარელიძისა, ლუკა კელენჯერიძისა და ვანო არდიშვილისა. 8) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა.

იმ კითხვების გარჩევა, რომლებიც ამ პროგრამაში არ შედის, არ შეიძლება. § 19.

ცალკე მოსაწვევი ბარათები წევრებს არ გაეგზავნება. (3—3)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—176—105)

დღეს, 25 თებერვალს დანიშნულია მეორედ საზოგადო კრება ტფილისის
სამარხი კასისა

ამ კრებას რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონიერად ჩაითვლება. ყრილობა მოხდება დღესვე საღამოს ექვსს საათზედ სათავად-აზნაურო ქარვასლაში თავად-აზნაურთა მამულების მმართველთა კანტორაში № 153.

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ასარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა-დამატებისათვის. (1—1)

პირველი საწყობი **შეშისა**

ცუდად დაწყობილი — გ. ი. კურცხალიასი — კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა დიმიტრის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწონობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეში

საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—9) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ 3 მარტისათვის დანიშნულია სიტყვიერი **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც მსურველმა იჯარით უნდა აიღოს ცხენებისა და ობოზის მიწოდების საქმე. ეს ცხენები და ობოზი საჭიროა ქალაქის ქუჩების მოსარწყავად და დასაწმენდად. მიიღება აგრეთვე წერილობითი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებში კვიტანციით, რომ ქალაქის კასსაში შეტანილია ბეი 500 მანეთი. ასეთი განცხადება უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს 3 მარტისა, ნაშუადღევის პირველ საათამდე.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეებს გარდა, 11-დან 3 საათამდე. (3—6.—1)

ნახშირი

ისყიდება რცხილის ხისა, ძეგვის ტყეებიდან, ფასი ფუთი 40 კ. მომთხოვნელს შევეძლიან დავუმზადოთ ვაგონობითაც სად. **ძსანკიდან**. საწყობი იმყოფება ელისაბედის ქ, სად. № 174, განყოფილება-კი ვერის მოედანზედ ქალაქის სასწორთან.
(2—65—1) ი. დოლიძე

ცინკოგრაფია
წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლებით 1 მანეთიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში

ლორის-მელევის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. გ. შვილისა—ბოეშა ბაზნაზი. . . . — 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . . — 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი . . . — 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი . . . 1 50
II და III ტომი თითო
ი. ჭავჭავაძის I ტომი . . . 1
იგივე II და III ტომი თითო . . . — 7
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . . — 60
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელის . . . — 80
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა . . . — 10
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო . . . — 40
რაფ. ერისთავის I ტომი . . . — 60
საქართველოს წარსული დრო—პროფ. . . . — 60
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა . . . — 20
სიბრძნე ბალავარისა . . . — 55
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . — 30
დევნის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა . . . — 10
რძე, მისივე . . . 1 50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა . . . 1 50
დასტურ-ლამა . . . 80
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა
ფიზიოლოგია—ფოსტერისა
ენათა რაოდენობისა, თარგ. სომხ
ევანგულოვისა

Доз. ценз. Тифлисъ, 24 февраль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამ